



საკოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 6

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი 6 1900 წ.

№ 6

შინაბრძნი: ინგლის-ტრანსვალის ომი და დასავლეთი ევროპა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—კვალის კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—ინგლის-ტრანსვალის ომი.—ჟურნალ გაზეთებიდან.—ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა (ინგლის-ტრანსვალი) დ. თაფურისისა.—საჭირო განმარტება გულ დაწყვეტილისა.—რუსეთი 1899 წ.—ოცი წლის წინეთ (მოთხრობა) გ. წერეთლისა.—ბიბლიოგრაფია გი—ვისა და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5.

ქუთაისის სათავად-აწნაურო საადგილ-მა-
ბულო ბანკის გამკეობა ამით აცხადებს, რომ
ამა 1900 წელს თებერვლის და მარტის ქვე-
მო აღნიშნულ რიცხვებში დანიშნულია ბან-
კის სადგომში, ქალაქ ქუთაისს, ვაჭრობა ბან-
კში დავირავებულთა უძრავთა ქონებათა, რო-
მელნიც დარჩენილნი არიან ბანკის საკუთრე-
ბათ.—ამ რიგათ: 1) ქალაქის და ქუთაისის
მასრის მამულები 29 თებერვალს; 2) შორა-
ზნის, რაჭის და ლეჩხუმის მასრებისა 1-ლ
მარტს; 3) ოზურგეთის, სენაკის და სუგდი-
დის მასრებისა 2 მარტს.

ვრცელი ჰირობები ვაჭრობისა და სხ-
მეები გასაყიდ მამულთა მსურველებს შე-
უძლიათ გაშინჯონ ბანკის კანცელარიაში
ყოველ დღე, გარდა უქმედდებისა.


ინგლის-ტრანსვალის ომი

ღ

დასავლეთი ევროპა.



ოგეხსენებათ, რომ სამხრეთ აფრი-
კაში დიდი სახელმწიფო ინგლი-
სი და პატარა სახელმწიფო ტრან-
სვალის ერთმანეთს ეომებიან. ასეთ
პირობებში, მოსალოდნელი იყო ევროპის დიდი
სახელმწიფოები მხარს დაუჭერდნ თავისსავე თანა-
ტოლ ინგლისს, ხოლო პატარა სახელმწიფოები კი
პატარა ტრანსვალს. მაგრამ ნამდვილათ კი სულ
სხვას ვხედავთ. დიდი სახელმწიფოები, სხვა და სხვა
პატარა ერთა მფლობელნი, თანაუგრძობენ პატა-
რა ტრანსვალს და ეწინააღმდეგებიან დიდ ინგ-
ლისს; პატარა ერები, დიდ სახელმწიფოებზე ასე თუ
ისე დამოკიდებულნი თუ ქვეშევრდომნი, თანაუგრ-
ძობენ დიდ ინგლისს და ეწინააღმდეგებიან პატარა
ტრანსვალს! აი, რა იშვიათ სანახაობას წარმოად-
გენს ამ ჟამათ დასავლეთი ევროპა! პირველ შემთ-



ხვევაში მოწინავე როლს თამაშობს გერმანია. მეორე შემთხვევაში საბერძნეთი. რით უნდა აიხსნას ეს საკვირველი გარემოება? ნუ თუ გერმანია, მაგ. უცებ ისე გაგულკეთილდა, რომ დაჩაგრულ ხალხთა მდგომარეობაში შედის და მათ ესარჩლება, ხოლო საბერძნეთი კი, მუდამ სხვის მიერ დაჩაგრული, უცებ ისე გაბოროტდა, რომ მძლავრის წინაშე დაიჩოქა? რასაკვირველია, არა, არც ერთი და არც მეორე არ მომხდარა. გერმანია ისევ ის გერმანიაა, რაც წინეთ იყო და საბერძნეთიც იგივე საბერძნეთია. მაშ რა მოხდა? აი რა: ევროპის დიდი სახელმწიფოები დღეს მსოფლიო ბაზარზე ერთმანეთს ეცილებიან, არა მე ვაგვიდო მეტი საქონელი, არა მეო. აქედან დაიბადა შუღლი და მეტოქეობა მათ შორის. პატარა სახელმწიფოები ასე შორს ვერ წვდიან ფეხს, იმათ ვინ მიაკარებს მსოფლიო ბაზრის ნეტარებას და ამიტომ სვირის ყურებით ჯერდებიან. მაშასადამე, მათი ინტერესი სრულებით არ ეწინააღმდეგება ინგლისის გაწვევის და გაფართოების მიდრეკილებას. მეორე მხრით, ევროპაში თითქმის არც ერთი პატარა ერი არ არის, რომლის სასარგებლოთ თავის დროზე ინგლისს ხმა არ აღემდლოს. ინგლისი ყოველთვის გამოდიოდა სუსტი და დამონაგებულის მოსარჩლეთ. და აი ახლა, სამაგიეროს ისინიც უხდებიან. საკმარისია ვაიხსენოთ ამ ორი წლის წინეთ, ბერძენთ-ოსმალთა ომის დროს, ინგლისი მიემხრო დამარცხებულ საბერძნეთს, როცა ოსმალთა ჯარი ათინას მიუახლოვდა... თვით საფრანგეთიც კი, რომელიც დღეს ასე ყვირის ინგლისის წინააღმდეგ, ინგლისს უნდა უმადლოდეს 1870 წ. პარიზის დაქვევისაგან გადარჩენას. პირველათ ინგლისმა შესძახა (ოფიციალურათ) გერმანიას: შეჩერდით!

ასე თუ ისე, ევროპის პატარა ერები დღეს ინგლისისკენ არიან. ესენია: საბერძნეთი, ბოლკანეთის სლავიანები, ვენგრია, დანია, ნორვეგია და სხ. გარდა პოლანდიისა და ბელგიისა. (ბურები იგივე პოლანდიელები არიან, ხოლო ბელგია კი საფრანგეთის აზროვნობის გავლენის ქვეშ არის). ჯერ კიდევ ნოემბერში დაიწყო საბერძნეთში მანიფესტაციები ინგლისის სასარგებლოთ. დეკემბერში კი შედგა ბერძენთაგან თავისუფალი ჯარი (1,000 კაცისაგან) და ინგლისის ელჩს თხოვა, მოგვიხმართო. ეს მოძრაობა ისე გაძლიერდა, რომ ხალხმა მოითხოვა ეკლესიებში პანაშვიდები იქმნას გადახდილი ომის ველზე მოკლულ ინგლისელთა სულის მოსახსენებლათო. და როცა ათინის ეპისკოპოსმა ამის ნება არ დართო, პარლამენტში დეპუტატებმა ერთი ვაი-უშველებელი ატყვეს სასულიერო მთავრობის წინააღმდეგ. იანვრის შუა რიცხვებში ასე-

თივე მოძრაობა დაიწყო კრეტის კუნძულზე. პეტროკლიტის გიმნაზიამ დღესასწაული გამართა ინგლისის სელთა პატივისაცემლათ, ხოლო ხალხმა გვირგვინებით შეამკო კრეტის არეულობის დროს თათრებისაგან მოკლული ინგლისელ სალდათთა საფლავი.—ასეთივე თანაგრძობის ხმა გაისმა იტალიაში, იმ იტალიაში, რომლის აღდგენას ასე ხელს უწყობდა ინგლისის ხალხი. დეკემბრის გასულს ასი იტალიელი გამოცხადდა ინგლისის საელჩოში (ქ. მანტუელეონში) და ბრძოლის ველზე გაგზავნა ითხოვა. აგრეთვე სერბია. ბევრმა სერბიელმა განაცხადა სურვილი ინგლისის ჯარში შესვლისა. დანიელებმა ფული შეაგროვეს ინგლისელთა სასარგებლოთ, ნორვეგიის, ვენგრის და სხვა პატარა ხალხების ჟურნალ-გაზეთობა უფრო ინგლისის მხარეს ღაღადებს.

რაც შეეხება დიდი სახელმწიფოების პრესას, აქაც არა ჩანს ამ საგნის შესახებ ერთობა. მაგ. გერმანიაში ინგლისის წინააღმდეგ განსაკუთრებით ბურჟუაზიის პრესამ გამოაცხადა ჯვაროსანთა ომი, მუშათა პარტიის ორგანოები ძალიან თავდაპერილათ არიან და ბევრი მათგანი ინგლისის დასუსტებას დიდ უბედურებათ თვლიან კულტურისათვის. ხოლო რეისტაგის დეპუტატთა დემონსტრაციაში ინგლისის წინააღმდეგ (გერმანიის გემის დატყვევების გამო) მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა არ მიიღეს. საზოგადოთ, ევროპის რადიკალური პარტიები ინგლისს უტყვიან, როგორც თავისუფალი წყობილების მედროშეს. სამაგიეროთ, ევროპის ვაჭრები ინგლისში ხედავენ თავის დაუძინებელ მტერს. აი რა უთქვამს გერმანიის ვაჭართა წარმომადგენელს ტრანსვაალში, ბ. ვარდს: „გერმანელთ და ბურებს შორის ჩინებული განწყობილებაა. ომს შემდეგ, ინგლისელთა სიძულვილი ისე გაძლიერდება, რომ ინგლისელი ვაჭარი სამხრეთ აფრიკაში ბაზარს ვეღარ იშოვის, და მაშინ დიდი კონკურენცია ატყდება სხვა და სხვა ერთა ვაჭრებს შორის. ამ შემთხვევაში გამარჯვება უეჭველათ გერმანიის მრეწველობას და ვაჭრობას დარჩება“...

აქედან აშკარაა, რატომ ასე შეუყვარდა გერმანიის ბურჟუაზიას ბურები და შეძულდა ინგლისელები...

სსვა-და-სსვა აძებთ.

დღეს, კვირას, ქართულ თეატრში ბ. შათი-რიშვილის საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება: „ოტელო“, ტრაგედია შექსპირისა. ოტელოს როლს შეასრულებს ბ. მესხიშვილი.

პარიჟში გარდაცვლილა ცნობილი რუსის მწერალი და საზოგადო მოღვაწე პეტრე ლავროვი...

თბილისის სათავად-აზნაურო ქარვასლის გამ-
გე კომისიის შეუმუშავებია პროექტი, რომლის ძა-
ლით ქართული თეატრის შენობა უნდა დაიქცეს
და მის ალაგას დუქნები და სხვა რამე უფრო შე-
მოსავლიანი შენობები გაკეთდეს. ამ პროექტს კო-
მისია წარუდგენს განსახილველათ თბილისის გუ-
ბერნიის თავად-აზნაურთა კრებას, რომელიც მო-
ხდება 20 მარტს.

პარიზის მომავალ გამოფენისათვის საქართვე-
ლოდან უკვე 600 ფუთამდეა გაგზავნილი კავკასი-
ის მრეწველობის ნაწარმოებთა ექსპონატები: ხალი-
ჩები, ვერცხლის ნივთების კოლექცია, აბრეშუ-
მის, მატყლის და სხვა ნიმუშები.

როსტოვში არსდება კავკასიის მთამადნის
მკვლევართა ამხანაგობა, რომელიც განსაკუთრე-
ბულ ყურადღებას ვერცხლის, სპილენძის და ტყვი-
ის მადნებს მიაქცევს. ამხანაგობა მარტისათვის
აპირებს საქართველოში სპეციალური ექსპედიცი-
ის გამოგზავნას.

ხუთშაბათს, 3 თებერვალს, დანიშნული იყო
ბ-ნ სვიმონიძის ბენეფისი. წარმოდგინეს შილოფ-
რის უჩაღები. საზოგადოება ბლომათ დაესწრო;
მობენეფისემ ბევრი სჩუქრები მიიღო. ბენეფისი
უფრო ბ-ნ მესხიშვილის იყო, ვიდრე სვიმონიძის.
საზოგადოება, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც
აღტაცებით მიეგება ამ არტისტს, რომლისათვისაც
ბუნებას მართლა, რომ გენიოსის ნიჭი ურგუნებია.
ფრანც მოორის როლი თავიდან ბოლომდე საუცხო-
ვოთ ჩაატარა მესხიშვილმა. თამაშის დროს მარტო
თითონ კი არ ივიწყებდა თავის ნამდვილ პიროვ-
ნებას, საზოგადოებასაც ავიწყებდა. მაგრამ ამ არ-
ტისტის ნიჭი ჩვენი პატარა სცენისათვის იმდენათ
დიდია, რომ დანარჩენი არტისტები მის გვერდში
პიემეებათ მოჩანან და მაყურებელზე შთაბეჭდილე-
ბას ვერ ახდენენ.

კარგათ იმამობდა ბ-ნი ყიფიანი, თუმცა გა-
დაქარბება ეტყობოდა და მისი სხეულის სიძაბუნეს
ძლიერი ხმა არ ეხამებოდა; დანარჩენი არტისტები
კი სუსტი იყვნენ.

ამ წლის ორ თებერვალს სომხებმა იღვასწაულეს
ბ-ნი ადამ სარდარიანც არეშატოვის 25 წლის მოღვაწეობა
სომხურ სცენაზე. იღვასწაული დანიშნული იყო სათავად
აზნაურო თეატრში, სადაც არტისტის პატივ საცემათ გამარ-
თული იყო სომხური წარმოდგენა. იუბილიარს ძალიან ბევრი
საჩუქრები მიართვეს. ქართული დრამატული საზოგადოების
სახელით მიერთდა დადნის გვირგვინი.

მსახიობობა სომხურ სცენაზედ დაიწყო 1875 წლიდან.
(დაიბადა 1866 წ.) ორი წლის შემდეგ ის ინიწვიეს მას-
წავლებლათ მოზდოკში, სადაც მან სცენა იმდენათ შეაყვა-
რა სომხურ საზოგადოებას, რომ მათ სამუდამო თეატრი
ააშენეს. 79 წ. სარდარიანცი თფილისში მოიწვია ახლათ
დაარსებულმა სათეატრო კომიტეტმა. აქედან მოკიდებული
სარდარიანცი სცენას აღარ მოშორებია. მან მალე მოიხვეჭა

ნიჭიერი არტისტისა და დრამატურგის სახელი. მას შემდეგ მოჰყვა
ვოლდელები 1) „ორთაქალაში ქეიფი“ და 2. „დავლდოვი“; მან
მაგრამ სარდარიანცს ნიჭი უფრო სხვისი მოთხოვნა—რო-
მანების პიემეებათ გადმოკეთებაში ჰქონდა და ასეთი პიემეები
სარდარიანცს ურთიკხვი აქვს. ბ. სარდარიანცის ორგინალუ-
რი ხუთ მოქმედებია დრამა „შავი ღღენი“ საქართველოს
წარსული ცხოვრებიდან არის აღებული. მას ნათარგმნი
აქვს ევროპის დრამატურგებიც. ცნობილია აგრეთვე. რო-
გორც საყმაწვილო მწერალი.

„კეკელის“ კორესპონდენტები

სოფ. სიმონეთა. (ქუთაისის მახრას) აკერ 20 წელი-
წადი მეტი გადის, რაც სოფ სიმონეთში ზირველ დასწ-
ვისი სამინისტრო სასწავლებელი არსებობს. მე მგანია,
რომ ჩვენი სოფელი, რომელიც 1300 კომლს შე-
დგენს და 7,000 სული მეტი მცხოვრებია, დავიწყებული
უნდა იყოს განათლების მხრით, თორემ რაი წლის გან-
მავლობაში, თუ კი სხვებმა ახლათ დანსებული სკოლები
მეორე-მესამე წელშივე ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლე-
ბლათ გადააკეთეს, ჩვენ რაღა დაგვემართა? აი რა დაგვე-
მართა: ის ხალხი, რომელთაც კარგი სასწავლებლები
აქვთ და სწავლა-განათლებას ეტანება, ჩვენზე გონებრი-
ვით წინ დგას და შეშხნეული აქვს, რომ სწავლა სინათ-
ლუ და უსწავლელობა სიბნელე. ჩვენ დემეტრას არ მოგ-
ვცა ის აზრი და თანხმობა, რომ ჩვენი ნაკლი ჩვენ-
ვე გავისწორეთ და ის დიდი განძი, რომელიც ადამიანს
გონებრივით ახდიდრებს, ჩვენვე შევიძინოთ და სხვა რას
დაგვეძიებს! ადგილობრივ მოხელეებს რომ დავაბრალდოთ, არ
შეგვიძლია, მიტომ რომ მათ ბევრჯერ გამოგვიცხადეს
(თუმცა გაკერით) ურილობაში; „გინდათ თუ არა ორკლას-
სიანი სასწავლებელი“ და ხალხის ხელის გაქნევით: არა,
არა. — იმათაც თავი მიგვანებეს. თუ არ გინდათ, რა-
გორც გიწირავთ ისე სწირეთ. ახლა მკითხველმა გამო-
ინჩნოს, ვისი ბრალი ყოფილა, ხალხის თუ ადგილობრივი
მოხელეებისა. ხალხს, რასაკვირველია, ეჯავრება: „გადა-
სახადი მოგვემატება და არ ეგვიძლია“, ამ ზასუნით
გაისტუმრებდნენ ხოლმე მოხელეებს. მაგრამ „არ შემიძ-
ლია“ ეგვლა ამბობს? არა, მოხლოთ ასში ორი-ან სა-
მი გაიძახის „არ შემიძლია“-ს და გაიძახის ის ზირი,
რომელიც თავ დებულია, რომელსაც სასწავლებელი უბრა-
ლო მტარცველ სახლათ მიანჩია, სწავლა-განათლება-იმ
მარგალიტათ, რომელიც ერთხელ მამადმა ხაგავში ნახს
და ქერის მარცვადი ამჯობინა. ჯობს რომ მთავრობას
ჩვენ უგუნურებას არ მიხედვადეს და თავის განკარ-
გულებით, ჩვენივე ხარჯით, ორკლასიან სამინისტრო
სასწავლებელს (ძალ დატანებით) დაგვიარსებებდეს სი-
მონეთში, რადგანაც ჩვენი ნებით არა ექნება არა და
იმოდენ სულს, რომლის რიცხვი ზევით მოსხენე-
ბულია, ერთი ზირველ დაწვებითი სასწავლებელი ვერ
დააკმაყოფილებს და ბევრი, ნიჭის მქონე ემაწვი-
ლი, მწვემსათ მიდის და სიბნელეში რჩება. სიმონ-
ეთის საზოგადოება, ვეებერთელა საზოგადოებას შე-
ადგენს და თან ქონებრივით შეძლებულია; იგი

შედეგებს ხუთი სოფლიდან, მას შეუძლია ადვილათ შენახვას ორკლასიანი სასწავლებლისა, მაგრამ ჯერ არ გამოჩენილა მისთვის გაყენიანი ზირი, რომლის მაცადინებოთ ეს დიდი საქმე ჩვენში შესრულებულიყოს. წასულს 1899 წელს სოფ. სიმონეთმა აირჩია სასწავლებლის საპატრონო ზედამხედველათ მასწავლებლის ნ. გოჭაძის და მწერლის შ. კლდიაშვილის რჩევით საპატრონო მოქალაქე მხარან ალექსანდრეს ძე ბ. ანანოვი, რომელიც კიდევ დამტკიცდა და რომლის დიდი იმედი აქვს ხალხს, რომ მათი მივიწეული სასწავლებელი აწი მანინე შეადგამს ფეხს წინ-მსვლელობაში.


ნესტორ სიმონელი

ს. სურები. (ოზურგეთის მახრან). ვინ არ იცის რა გაჭირვებულ მდგომარეობაშია დღეს უმამასახლისობით მთელი საქართველოს გლეხობა. როგორც ვიცით მამასახლისებს ირჩევენ მთელი საზოგადოების გლეხობა, რომლებმაც უნდა იმსახურებინათ საპატრონო წილი, ეს უკანასკნელები რაკი ხელთ იგდებენ ჯაჭვს და კანდების მუხუფე მთელი საზოგადოებისა, ცა ქუდათ მიანხით და დუ-დამიწა ქაღალხით. გზების გაყვანას, სასწავლებლების და სასოფლო დაწესებულების მიხედვას ვინ გაასწავლებს! გლეხებიც ისეთ კაცებს ირჩევენ, რომლებსაც მათთვის არ უწყენიანთ. მართლის მთქმელებს ხომ არ აღი-რსებენ მამასახლისობას. მცხოვრებლებს რომ ჭკითხთ რატომ კარგს ან და ნასწავლ კაცებს არ ირჩევთ, ისინი მოგიბებენ: „ნასწავლია, რომ დაქცია ქვეყანა და კიდევ ამას მუხუბებით რომ ნასწავლი დავაუ-ნოთ, უსწავლელ გლეხს, რომ დაგვჭირდეს მი-ცემ ორ შაურს და დავამოწმებთ სჭირთ ქაღ-ლდებს და ნასწავლს კი კარგი ზატივი რომ სცე შეი-ღებს არც გაგიკეთოს საქმე“. ასეთი აზრის არიან უმე-ტისობა ნასწავლ-კაცზე და მამასახლისათ დაიყენებენ?

ასეთი ჩვეულებრივი არჩევნები იყო წრეულს ს. სუ-რებში 3 იანვარს. მამასახლისათ იყო მ. რამიშვილი ქვე-მო სურებიდან. მამასახლისის ამრჩევი გლეხები წელს სამ ზარტათ დაიყენ: ქვემოთ, შუათ და ზემო ზარტი-ებათ. შუა და ზემო სურებში მცხოვრებლები თავისკენ იწვედნ და ქვემო სურებებს ე. ი. რამიშვილებს ეუ-ბდებოდნ, ახლა ხომ თქვენ მამასახლისობა არ გიწვეთ რადგან ამდენ-ხანს იმსახურეთ ახლა ჩვენი რიგია, თუ გინდ თქვენში უკეთესი სამამასახლისო კაცი იყოს. ძა-ლა უნებურათ დათანხმდნ ქვემო სურებლები და მიანდ-ეს კანდიდატის არჩევა ზემო და შუა სურებებს. იმათაც ცალ-ცალკე აირჩიეს კანდიდატი და ერთმანეთს არ დაუთმეს მამასახლისობა. იმას კი არ ფიქრობდნ, რომელი უკეთ შესრულებს მამასახლისობასო. ეგულა გაიძახდა ჩვენ გაუმარჯვებოთ და არა ჩვენო; რა-დგანაც ვერ შეთანხმდნ, ბ. ბოქაშელმა ქელბაქიანმა მიმა-რთა კანონის ძალას ე. ი. გადათვალა ორივე ზარტი და

რადგანაც ზემო ზარტიამ სიღია 16 ხმით ამიტომ შეა-დგინა ოქმი ზემო სურების კანდიდატზე ბ. კიკვიციანი. იმედია ახალი მამასახლისი ძველთა რიცხვში არ ჩაიგდებს თავს და მიაქცევს უურადდებს სოფლის წარმატებს და აკრეუვე შეაკეთებებს მცხოვრებლებს გზებს. ბ. ქელ-ბაქიანიც დაგვავალბებს ამის შესახებ ბრძანების გაცემას.

ნო-ლი.



კვირიდან კვირამდე.

ახალი რედაქცია და მისი ორგანო.— კამათის ახალი იარაღი.—ვის ეწო-დება ინტელიგენტი?—გურული კა-ცის გოდება.

კვირიდან კვირამდე კახლავარ! არ გაგივირდეთ! შე საწყადი, ეგულასაგან დაბრთვებული და აბუჩით ავდებული, გლახაკივით ვიფორთხე, ვიფორთხე და ბოლოს, როგორც იყო, აქამდის მოვატანე. ახლა ჩემი სული თქვენთვის ჩა-მიბარებია, იმედია მიზარტონებოთ, ხოლო რაც წინეთ შე-მემთხვა—ის თქენი ჭირის სანაცვლოთ იყოს. გაუყვილს კატეხილი ჯობია—ხათქვამია, და მეც ჩემ ამავს ზირ-დაზირ გეტყვი. არაფერს არ დავფარავ. კმარა ისიც, რაც აქამდის ვფარე და ჩემი მტარვალების ამები არ გა-მოვასშვარავ. ჭო, იმას მოგახსენებოთ, ჩემ მტერს და ორგულს არ ვუსურვებ, რაც შე საქმე დამემართა. კარგა ხანია გამეგონა რედაქციებს გოდორი აქვსო. მერე? მერე და აქვსო, სხვა არაფერი. აბა რა მეცოდინებოდა მისი ამბავი, არასოდეს მისი სტუმარი არ ვყოფილვარ და ის კიდევ ჩემი მასწავლებელი. და აი ერთ ცუდ მოვარეზე დაბადებულ დღეს ის რაღაც გოდორია, „კვალი“-ს რე-დაქციასაც შეუძინა და იქ სტოლ ქვეშ შემოუდგამს. აბა რა ვიცოდი ეს და რომც მცოდნოდა უურადდებსაც როგორ მოვატყვი. შე ჩემებურათ მკვირცხლათ და მარ-დათ ავხტი, დავხტი და ზედ სტოლზე შევხტი. ის იყო ჩემი ალაგი უნდა დამეჭირა, რომ უცებ ფეხი და-მისხლტა (თუ დამასხლტეთ, კარგათ არ მასხლტ) და შიგ შუა გოდორში ბრავგანი მოვადინე. გული წამივიდა, ცნება დამეკარგა, დარაფერი მასხლტის. მხოლოთ რაცა გონს მოკვიდი და ამისვლა მოვიწადინე, ჩემ ზურგზე იმდენი ბარგი-ბარხანა დავინახე, რომ მიშისაგან კიდევ უფრო ძირს ჩავიწიე და ერთ კუთხეში ტურსასავით მივი-მადე. იმ ბარგისას ნუდარას შეითხავთ. დმერთო ჩემო! რა და რა ამბები არ გავიკე. მერწმუნეთ რაც გაზეთში იბეჭდება ამ ბარგის ნასეფრათაც არ ღირს. აქ თქვენ იზოვით უთვალავ ზოეტებს, მრავალთა-მრავალ კორესზონ-დენტებს, რამდენიმე ზუბლიცისცისც —ერთი სიტყვით ყოველხანო მწერალს აქ მოუერთა თავი და ერთმანეთს უფლოცავნ საუკუნო განსვენებს... გამიტაცა ამათამ ამ-ამბებმა, შევუდქი მათ ნაწარმოების კითხვას, ვიკითხე ვიკითხე და ბოლოს კი დავრწმუნდი, თუ როგორ უმარ-

თვლით იტანჯებიან აქ ეს საბრალდებო და გადაწყვეტილებით გამოსახსნა. ვინცდაც, ვინცდაც, გოდრის ზედა ზიბზე ამოვიტყვი და სასტიკ რედაქციას გამოვიტყვი: მე ხომ შენ შეიღოს მტანჯავ და მტანჯავ, კარგი; ვთქვათ ჩემზე ხელ შეუხებელი უფლება გაქვს, მაგრამ ამ სხვის შვილებს რას ერჩი, ბატონ-ყმობა კია ხანია გადავარდა. მამ რა ვქნათ—შემომხივლა რედაქციამ. რა და ამ გოდრის უფროსათ მე დამაყენე, დავაჩნებ ჩემ საკუთარ გახეთს და რაც შენ არ მოგეწონება, ჩემ გახეთში ჩავბეჭდავ მეთქი, მოვასხენე მას. დიდ ყოყმანს შემდეგ დათანხმდა, მხალთ ერთი ზირობით: „კვირიდან კვირამდე“-ს რედაქცია „კვლი“-ს რედაქციას ნუ შეეხება, სამაგიეროთ „კვლი“-ს რედაქციაც მას არ შეეხება. ე. ი. შენც „სუ“ და მეც „სუ“-ს. დავთანხმდი, ძალა აღმართს ხნავს. (ჩვენში დარჩეს და მოგვცათ სიტყვებზე, მე მას გადავკრა, როგორც კი მოვასხენებ).

* *

ასე და ამხიარათ, მე, აბუხით ავდებულ „კვირიდან კვირამდე“, საკუთარი რედაქცია მქვს, საკუთარი სტოლი (საკუთარი გოდრისგან კი დემეტრე დამიფარხს!) და ბოლოს საკუთარი თანამშრომლებიც. აი ხალა გოდრიდან მთელი დასტა წერილებისა ამოვალაგე და მათ ბეჭდვასაც ვიწვევ. ზირველათ, რასიკვირველია, ცივ-ცივი ამბები წავა; მერე კი ცხელ-ცხელი. დავიწვით შორეული თანამშრომლიდან: „ბატონო „კვირიდან კვირამდე!“ იმედი მქვს თქვენ ზაწია შეიღუკას, შორეულ მხარეს შეიღოს, ნებას მისცემთ გაამბოსთ ზოგჯერ, რასაც მისი ზატარა ურები გაიგებენ და თვალები ხსავენ. მოგესხენებთ სწავლა—განათლება ისეთი რამე ყოფილა, რომ მის მსახურებათ ვინ იცის სად გადაიარება ხალხი კაცი. მეც ერთი მათგანი ვასლავარ და დიდი აღტაცებით კვებები ყოველთვის, რაიცა ხალხი და ძვირფასი რამე აღმოჩნდება მეცნიერებაში. წარმოდგინეთ ერთმა შორეულ ტომელმა, ყოველხიარ ცოდნით აღჭურვილმა, „დილობით“ დაჯილდოებული, აღმოჩინა ხალხი „დამარწმუნებითი მეთოდო“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თუ კაცი (ვინც უნდა იყოს სულ ერთი) არ გათანხმება რაიმე აზრში, უნდა „სტაცო ბოთლს ხელი და ესრელო თავში“. მაშინ ყოველივე ეჭვს გარეშა, რომ მოწინააღმდეგე დაგთანხმება და თქვენც სიმართლის მსახურის სახელს მოიხვეჭთ. ამ გამოცხებაში დიდათ წასწია წინ იმ ერის სახელი რომელსაც ეს ვაჟბატონი კეთუნი და შესაფერი ადგილი მოუხვავს სხვა კულტურულ ერთა შორის. იმედი გვაქვს, რომ ამ „დამარწმუნებელ მეთოდს“ ექნება დიდი სამაქმედო საზარეზი ჯერ აქ და მერე შეიძლება სხვაგანაც. გაუმარჯვოს ამ ხალხ მეცნიერებას და მისი წინ მსვლელობისათვის მხარუნიველო!“.

პეტრობურლი.

* *

უფურეთ, უფურეთ, რა ამბები ყოფილა ზეტერბურდში! მოკამათენი ბოთლით ყოფილან აღჭურვილი, მაგრამ რაც უნდა იყოს, ცარიელი ბოთლი არ იქნებოდა, კანუ-

რი თუ არა ვირიბული მანინ ექნებოდა შივ და კინც გამოსადგოდა. სამაგიეროთ მერე ალგას მოკამათენი ცარიელი ბაქა-ბუქით ყოფილან აღჭურვილი და სურთ მოწინააღმდეგე კი არ დარწმუნონ, არამედ დაამბონ. აი რას გვწერენ ამის შესახებ:

„ერთმა ზატარა ამბავმა სულ აფორიაქა აქაური ორიოდე ინტელიგენტთა ბუდე. ამის წინეთ ვიდაც გამგულ თუ გამომგულ კორესპონდენტს „კვლიში“ აქაური ამბავი ჩაკვდა, ამ ამბავში რამოდენიმე აქაური ძალათ მეთაურნი ყოფილიყვენ გამოყვანილი, საზოგადო საქმეს გულგრილათ ეკიდებიან და კიდევაც ატეხეს ერთი აღიქმითი. ეს ერთი ხანია მის დამწერს ეძებენ, ვინ გაკვირდება. ერთ ინტელიგენტს დაუკავებია ხელში კვირბურთელა ჯოხი და ბუღვარზე ვინც კი გადაეურება, კვილას ემუდარება: ეგები გამაგებია ჩვენი გამლანძღველის ვინაობა... ამ ძიებამ დღემდის ამათ ჩაიარა, მხალთ ეს კი ვინცა, რომ თუ მართლა აღმოჩინეს—იმ საწყალს შექამენ, აქ აღარ დაყენებენ. ხალა ერთს გვითხვ, ბ. „კვირიდან კვირამდე“, ასეთ ინტელიგენტს, რომელიც მართლის მთქმელს ასე სასტიკათ დევნის, მართლა ინტელიგენტი ეწოდება?“.

მარალ შენი მკითხველი ი.

* *

დახს, სწორეთ ასე ეწოდება. დღეს ინტელიგენტობა თვალზე ხელის დაფარება ყოფილა, ასე ამბობენ თითონ ინტელიგენტები, რასაც შემდეგი კორესპონდენტიაც მოწმობს:

„შევიჯიყეთ, ბატონებო, შევიჯიყეთ, ვინცდა ბადნები გამოვარდნილან, თავის თავიან ინტელიგენტები დაურქმევით და ქე მოგვჭრეს თავი, საქვეინთ, მთელ დუნიაზე. ჩვენ ოზრუკეთლებს ზრდილობა მანინ ყოველთვის გვჭინდა, მობრძანდის და დაბრძანდის მეტი სტუმრისა მის დღეში არაფერი არ გვიკადრებია. კვდარი ყოველთვის გულდათუთქულათ გვიტირია და ცოცხლისთვის ზატრივი გვიცია და ხალა ყველა ეს წყალში ჩაგვიცინდა იმ ვინცხა ინტელიგენტია, იმის მეხებით. ბატონო აბა რას ვავს ეს: „კვლი“-ს მეთხე ნამერში წვევაითხეთ ერთი უმზავსი სამგლავიარო დეპეშა, რომლის ბოლოში „ოზურგეთის ინტელიგენტია“ აწერია. შეგვრცხვა, სამუდამოთ შეგვრცხეთ, ყველა კაცში და ყველა კუთხეში გამოვწყდით. სტავლა თუ ასეთი უზრდელობა, ერთი მითხარით უსტავლულობა რადა? არა, დემეტრე დიფაროს აი ჩვენი ზაწია ქალაქი ამგვარი ხასტავლებისგან“.

ოზურგეთელი.

* *

ნუ ჩქარობ, ჩემო გურულო, ეს სწავლის ბრალი კი არ არის, არამედ იმის, რომ „ვერ გათუტდება ფარანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“. ამ ქვიშას გინდ სწავლა და რქვი და გინდ უსწავლულობა. აი თუნდა მერე წერილი, მარა ეს შემდეგისთვის... 1)

1) კვირიდან კვირამდეს თანამშრომლებს ვთხოვთ თავის წერილებზე დააწერონ: „კვირიდან კვირამდესთვის“.

ინგლის-ტრანსკანდლის ომი.

3 კვლის უკანასკნელ ნომერში ვთქვით, რომ ინგლისის სარდალი ბუღერი მდინარე ტუგელასზე ხელშეკრულს გადავიდა და ბურების რამდენიმე სიმაგრე აიღო, ეს იყო და ეს. იმას იქით ბუღერმა ვეღარ წაიწია. ბურების სიმაგრეები იმდენათ ძლიერი გამოჩნდნენ, რომ მათი აღება ყოვლად შეუძლებელი გახდა. ბურების ზარბაზნები ჩამწკრივებულია სერებსე და განუწყვეტლივ ისვრის ყუმბარების ინგლისის ჯარისაკენ. 29 იანვარს ტელეგრამა ამობის: „ბურების ზარბაზნების ზოგიერთი ყუმბარები ზირდაზირ სტრანსხორტო რაზმში ეცემოდა. ყუმბარების სრულად სარტარი იყო, ინგლისის მთელი არტილერია მოქმედებდა იყო, მაგრამ ბურების ზარბაზნები მაინც ვერ გახრება. ამის გამო ინგლისის ლენერალმა გადასწყვიტა წინ აღარ წავიდეს და შეძინილ ზოზინიასაც (ვალკანსი) თავი დაანება“. ბუღერი ოფიციალურათ იუწყება: „ვალკანსის აღების შემდეგ დავიხსნეთ, რომ შემდეგი მოქმედებისთვის საჭირო იყო ამ ადგილის გამაგრება, მაგრამ ზრი დღის შეცდინებებს შემდეგ დავრწმუნდით რომ ეს შეუძლებელი იყო. ნიადაგის თვისების გამო. ლედისმიტისაკენ წასასვლელათ უკვლეათ ამ ადგილის გამაგრება იყო საჭირო, და რადგანაც ეს არ მოხერხდა, ამიტომ ამ გზით აღარ წავაღო“. ამხარათ, ბუღერი მეორეთ დამარცხდა ტუგელას კაღმ და კადმოვიდა გამდამს. რა გზით აზირებს ლედისმიტისაკენ წასვლას, ან როდის—ეს ჯერ არავინ უყვია.

ამავე დროს გამწვავებული ბრძოლას დასავლეთის მხრით, ბოდერ-რაიკრას, კიმიბლერის და შეფინგის ახლო-მასლო. ამ ქალაქებს ბურები ვარს არტია, ისინი გასულ კვირაში განუწყვეტლივ ესროდნენ ყუმბარებს კიმიბლერის. ამბობენ მთავარ სარდალი რეორტისი მიდის შეფინგის საშუკლათო. (ის. „კვლი“—ს რუქა № 5).

31 იანვარს ინგლისის სამხედრო მინისტრს ლორდთა შარლამენტში განუცხადებია: ამ ქაშათ სასელმწიფოშია 98 ათასი კაცი სამუდამო ჯარისა, 12 ათასი კაცი ზურავის ჯარისა, 7 ათასი იამახი, 77 ათასი მალიციის და 215 ათასი თავისით გამოსული, სულ 409 ათასი.

„ჩვენ ახლა მეტათ საკვირველ მდგომარეობაში ვართ, განაგრძობ მანვე, ჩვენ, უდაღესი სასელმწიფო დედამწასე, ვებრძვით ორ ბატარა სასელმწიფოს, რომელთაც ზღვის ჯარი არა ჭეკათ და არც ერთი ხომალდი არ მოეპოვებთ. და აი სწორეთ ამიტომ იმათ ვერას აკლებს ჩვენი ძლიერი ოფორტი. ჩვენ იმ ძლიერი კაცის მდგომარეობაში ვართ, რომელსაც მარჯვენა ხელი კედელზე აქვს მიბმული, მაგრამ ეს მარჯვენა ხელი მას არ დაუძლეურებია, ის ახლა კიდევ უფრო ძლიერია, ვინემ ოდესმე იყო. სამინისტროს აზრათ აქვს მოკრიბონ კიდევ 130 ათასი ჯარის კაცი და შეადგინონ 12 ბატალიონი ჭკვით ჯარისა. გარდა ამისა შეადგინონ არტილერია ორი ახალი კორპუსისათვის და ცხენოსანთა რაზმიც. სასელმწიფოს ჯერ ისეთი გაჭირება არ დადგომია, რომ შემოიღონ სამხედრო ბუგარა (სადათის კენჭით გაუგანა); რაცა ასე ძუღს ინგლისის ხალხს. მთავრობა ამას მაშინ მიმართავს, როცა ეს ზომები სავმარისი არ იქნებან. ახლა

კი ჩვენი ხალხი ნება ყოფილობით ეწყობს ჯარისკაცობაში. ტომ ვიფიქრობთ დრო არ არის კენჭის ერთი გაიწვიოთ მეომრები, საჭირო არაა დადგატანება, არამედ წახალისება“. — აი როგორ ემზადება ინგლისი. მას ამ ქაშათ ომის ველზე ჭეკავს 120 ათასი მეომარი და 300 ზარბაზანი. თუ ბურებს დაუფრეთ, მათაც ამდენივე მეომარი ჭეკლიათ. მათ ერთი კორესზონდენტისთვის განუცხადებიათ გასულ კვირაში; ჩვენ 120 ათასი სამშობლოსთვის მეომარი გვეყავს, რომელთაც დიდხანს შეუძლიათ განაგრძონ ომი... .

ქურნალ-განსეთებიდან.

2 სახეთ „ივერიის“ ფურცლებზე თათბირი ჩამოვარდა ქართლ-კახეთის დროებით ვადებულ გლეხკაცობაზე. ამას წინეთ ბ. აღ. ფრანკელი („ივერია“ № № 248, 250 და 257, 1899 წ.) დამარცხობდა ქართლ-კახეთის დროებით ვადებულ გლეხთა დავალიანებაზე, თავისთ „ხადელების“ გამოყიდვის გამო, რომ ამ მხრით ე. ი. დავალიანებით „თფილისის გუბერნიას შეკვიდიდა ზირველობა დაუფლდნით მთელ რუსეთის იმპერიაში“. ბ. ფრანკელის წერილებს გამოუწვევია ბ. დ. მეგრელის ფელეტონი იმავე გაზეთში. (№ 23) ბ. დ. მეგრელს სიცილიათაც არ ჭეოფნის ბ. ფრანკელის მიერ გამოგანილ საშუალება ქართლ-კახეთის გლეხკაცობის დავალიანების მოსასწობათ, რომელიც ბ. ფრანკელისავე სიტყვით იმაში მდგომარეობს, რომ „რაც მამული აქვს მიზომილი გლეხკაცობას საკომლო („ხადელი“) მთავრობამ უნდა დაინახოს თავისი ხარჯით და სიფასითო“. ბ. დ. მეგრელი გადაჭრით უარტეოფს აგრეთვე იმ აზრსაც, რომ ვითომც დავალიანების მიზეზი ეს იყოს; ექვსი ზნცენტის სარკებლის ძლევა, როცა ბაზარი ფულით სავსეა, გლეხისთვის შეუფერებელი არისო.

„სად რომელი ბაზარია სავსე ფულითო? — კითხულობს ბ. დ. მეგრელი. თუ ეს ასეა, რატომ ქართლ-კახეთის გლეხობას ვაუჭირდა ფულის ზოვა და მთავრობისაგან რე ძვირათ ისესხაო?... ექვს პროცენტათ კი არა, სამათ და კიდევ უფრო ნაკლებათაც, რომ მიეცა მთავრობას ფული გლეხობისათვის მარც ეგ ამბავი მოხდებოდა. აკი დღეს მთავრობა უნახვერებს და უმესამედებს კიდევ გადასახადს, მაგრამ თითონ ბ. ა. ფრონელსვე არა სჯერა, რომ გლეხმა შესძლოს ვალის გადახდაო“.

ამხარათ ერთი მხრით დვას ქართლ-კახეთის გლეხკაცობა, რომელმაც ვერც თავის თავათ და ვერც მთავრობის დახმარებით, შედარებით მცირე სარკებლიანი სესხით, ვერ დააღწია თავი დროებით ვალდებულობას, და მეორე მხრით იმერელი გლეხკაცობა, რომლის უმრავლესობა სხვის დაუხმარებლათ, სრულიად დამოუკიდებლათ, კაი ხანია გამოვიდა ამ მდგომარეობისაგან. სად უნდა ვუძებოთ ამ საინტერესო მოვლენის თავი და თავი მიზეზი? ბ. დ. მეგრელი რამდენიმეთ უახლოვდება სიმართლეს, როცა ამბობს:

„იმერელი გლეხი მამულის დახსნისთვის სესხულობს ფულს მამსისხლოთ, და მერე იხდის ამ ვალს არა მარტო მამულის შემოსავლით, არამედ თავის მუშაობით და შრომა გარჯით, რომელიც მდგომარეობს ხელოსნობა-მრეწველობაში, მოჯამაგირობაში, დღიურ მუშაობაში და სხ. ქარ-



თელმა და კახელმა გლეხმა, მხოლოდ მეურნეობის შემყურემ, ვერ მოახერხა ექვსი პროცენტის ძლევაც, რომელიც სარგებელსაც და თვენსაც ერთად ისტუმრებდაო“.

მაშასადამე იმერული გლეხიც ქართლ-კახელი გლეხივით, რომ მიწის შემოსავლის შემყურეები უფთადად და ფულის საშენებლად „გარეთ“ არ გასულიყო, ხელისნობა—მრეწველობისთვის და აღებ-მიტეობისთვის რომ ხელი არ მოეკიდა, დღეს იგიც უკანასკნელის ეფაში იქნებოდა. მაგრამ ეს თუ სხვა, რას ნიშნავს ბ. დ. მეგრელის სიტყვები: „მაგრამ ვაი თუ ცოტადეი ბრალი, რომ ქართლ-კახეთის გლეხობა ასე ჩამოიხრჩა იმერეთისას, თვით ქართლ-კახეთის ინტელიგენციას ედებოდა“.

შემდეგ ავტორი, მოიგონებს რა ბრალეულ ხელნათას ისტორიას, კითხულობს: „არ აჯობებდა ბრილევებისათვის, რომ რაც უნდა დასჯდომოდით თავი დაეხსნათ (ოღონდაც რომ აჯობებდა, მაგრამ...) დიასამიძისაგან და საქმე მკვლელობამდე არ მისულიყო? რასაკვირველია აჯობებდა, მაგრამ სად იყო კაცი რომ მათთვის და სხვა ქართულ და კახელ გლეხებისათვის ეს ჩაეგონებინაო?“.

გამოდის, რომ ეს თავსმტკრევი საკითხი—თუ რატომ უნდა დაეწიოს თავი ქართლ-კახეთის გლეხობაში თავის გაჭირვებულ მდგომარეობას, ე. ი. დავადა. ნების და დრებით ვაღდებულებას, ინტელიგენციის რჩევას და ჩაგნებაზე უფთადად დამოკიდებული. ამაზე ადვილი რადაა?!

* * *

გაზ, „Кавказ“-ის № 29-ში დაბეჭდილია საინტერესო წერილი თ-დ ი. ზ. ანდრანიკაშვილისა, თფილისის გუბერნიის სათავად-ახნაურსა სხნაგ-სათესი მიწების შემოსავლიანობაზე. საინტერესოა ვტყობულობთ, რომ თფილისის გუბერნიის კერძო მიწათმფლობელთა შორის მეტათა გაზრდილებულია არენდით გაცემის

„თითქმის 99% მემამულეთა არ მისდევს მეურნეობას არამედ პატარ-პატარა ნაჭრებით აძლევს გლეხ-კაცობას იჯარით. მამულის იჯარით გაცემა ბევრათ უფრო სასარგებლოა მემამულესთვის: ადგილობრივ ეკონომიურ პირობებში, საინდინაცი კაპიტალის სიჭირბოროტის შორი-შორს მდებარეობა მუშა ხელის და გზების უქონლობა და სხვა არა კეთილსაყოფი მიზეზები მემამულეთ ხელს არ აძლევს თითონ აწარმოვონ მეურნეობაო“.

თ-დ ანდრანიკაშვილს იქვე მოჭეაყს არსებული საინტერესო ფასები ერთ დენარტინა სხნაგ მიწაზე თფილისის გუბერნიის და სხვა მაზრებში.

გარის მაზრაში	—	10 მან.
ბორჩხალოს	—	6—8 მან.
თფილისის	—	5 მ. 70 კ.
თიანეთის	—	4 მ. 30 კ.
დუშეთის	—	4 მ.
სიღნაღის	—	2 მ- 60 კ.
თელავისა	—	2 მ. 15 კ.

მაშასადამე თფილისის გუბერნიაში საზღვრად ერთ დენარტინა სხნაგ მიწაზე საინტერესო ფასები ტრიალებს 3 მან 23 კაპეიკიდან 10 მან.

ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა ინგლისი — ტრანსკავალი.

ინგლისის ცხოვრებაში და აგრეთვე მსოფლიო პოლიტიკაში დღეს ფრიალ საგულისხმო მოვლენა ხდება. დღემდე მსოფლიო ბაზარზე მეფობდა ინგლისი და ამიტომაც ის მშვიდობიანათ განვითარების გზას ადგა; მისი წარმოება მუდამ მატულობდა. უკანასკნელ წლებში კი მისი აღებ-მიცემობა შეფერხდა და ისეთი ჩქარი ნაბიჯით ვეღარ ვითარდება, როგორათაც ის წინეთ ვითარდებოდა. ამავე დროს სხვა სამეფოთა წარმოება იზრდება საოცარი სისწრაფით. ამნაირ პირობებში ინგლისმა მშვიდობიანობის პოლიტიკა შეცვალა და ძალადობას, ომს ეტრფის. რა არის მიზეზი ინგლისის ვაჭრობის შეფერხებისა? აგრე რამ დააძაბუნა ეგ ლომი, რამ დაუკარგა იმდენათ თავისი ლომური სულგრძელობა, თავმოყვარეობა, რომ დღეს პაწია ლეკვს—ტრანსკავალს ებრძვის?

სხვა და სხვა ისტორიული და გეოგრაფიული მიზეზების გამო ინგლისმა დიდი ხნიდან დაიჭირა პირველი ალაგი მსოფლიო ბაზარზე და გაბატონდა ზღვაზე; ყოველი კუთხე დედამიწის ზურგისა, სადაც კი ევროპის კულტურა შეაშუქებდა, ინგლისის ახალ ბაზრათ იქცეოდა; ამნაირათ შეერთებულ სამეფოში წარმოება საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა; მოწინააღმდეგე ან სულ არ იყო ან თუ აგერ—აგერ თავს ამოჰყოფდა, ინგლისს მაინც მეტოქეობას ვერ უწევდა, რადგან ინგლისმა უკვე დაიპყრა მსოფლიო ბაზარი, წარმოება სხვებზე აღრე დააყენა დიდ კაპიტალისტურ ნიადაგზე. ამნაირ პირობებში ინგლისს სხვებზე იათათ უჯდებოდა საქონელი და სხვა ქვეყნების ახლათ გამოჩეკილ ბურჟუაზიისა არ ეშინოდა და დღემდე თავისუფლების, თავისუფალ კონკურენციის მომხრე იყო. ეს პოლიტიკა ინგლისის მრეწველობისთვის ფრიალ სასარგებლო იყო და ინგლისელი ბურჟუაზია თამამათ გაიძახოდა: „მობრძანდით, ივაჭრეთ ჩვენში, ოღონდ ჩვენც მოგვეცით ნება ვივაჭროთ თქვენში“.

რადგან ინგლისელს იმედი ჰქონდა თავის ლონის, იცოდა რომ ყოველგან გაიმარჯვებდა, თუ კი თანასწორ პირობებში შეებრძოლებოდა თავის მოპირდაპირეს, ე. ი. თუ კი არ დაუკეტდენ კარს პროტექციონიზმით ან სხვა გზით, ამიტომაც იგი ეტრფოდა თავისუფალ ვაჭრობას.

ინგლისში დღემდე ამნაირი მიმართულება სუფევდა, მისი ბურჟუაზია სუქდებოდა, ერთობ ბევრს იგებდა, მუშებსაც სხვებზე მეტ ქირას აძლევდა. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ამ ყველაზე უფრო

საქონელი
განმარტებული



სურათები ახალთევის ცხოვრებიდან.

უშველვებელი ქარხნები, მაგრამ მარტო ეს არ კმაროდა მისი გამარჯვებისათვის: მისთვის საჭირო იყო ეპოვნა ინგლისელებზე უფრო იათათ რომელიმე წარმოების ელემენტი. აი სწორეთ ამ ელემენტმა იხსნა ახალი ბურჟუაზია და გაუადვილა ბრძოლა. ეს ელემენტი არის მუშა. ინგლისელთა მეტოქეები თავის მუშას აძლევენ ბევრათ ნაკლებ ქირას. მუშის შრომის სიიაფემ მისცა იაპონელთ და სხვებს საშუალება ინგლისელებზე უფრო დაბალ ფასათ გაასაღონ თავისი საქონელი მსოფლიო ბაზარზე. ¹⁾

აი ამ პირობებმა გამოიწვია ის, რომ ინგლისი არამც თუ წინ ვერ მიდის, არამედ უკვე მოპოებული პოზიციის შენახვაც უჭირს. ჩინეთის ბაზარზე ინგლისი შეჩერდა ერთ დონეზე. სხვა სახელმწიფოები კი ცქციტათ მიდიან წინ. ჩინეთში სხვა და სხვა ქვეყნებიდან შემოვიდა საქონელი:

	1889	1897
ინგლისიდან—125 მილ. ფრ. საქონ.	125 მილ. ფრ. საქონ.	
გერმანიიდან	30	40
ინდოეთიდან	76	80
იაპონიიდან	32	81
შვედეთულ შტატ.	13	60
კანადიდან	3,5	24
რუსეთიდან	2	11

ჩინეთში რვა წლის განმავლობაში (1889—

¹⁾ ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ინგლისის საქონელი ყველა დანარჩენ საქონელზე მაღლა დგას ღირსებით და ამიტომაც ის ძვირათ უნდა გაიყიდოს. ხოლო ჩვეულებრივი მყიდველი კი სიიაფეს ეტანება, თუნდაც ღირსებით მდარე იყოს.

დაწინაურებულ სამეფოში მუშათა მოძრაობა პოლიტიკურ ხასიათს მოკლებული იყო. მაშ რა მოუვიდა ინგლისს? რისთვის შეჩერდა მისი თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების ზრდა-განვითარება? რა მიზეზი მსოფლიო ბაზარზე მისი დამარცხებისა? სხვა და სხვა ქვეყნების ახლათ გამოჩეკილ ბურჟუაზიამ ირგვლივ შემოირტყა პროტექციონიზმის კედელი, არ დაუჯერა სირინოზის ხმით თავისუფალ კონკურენციის ქება-დიდების შემსხმელ ინგლისელს, დაადვა სხვა სახელმწიფოების საქონელს დიდი ბაჟი და განებიერდა, გავაჟკაცდა პროტექციონიზმის უბეში. ახალგაზდა ბურჟუაზიამ შეიძინა ახალი მაშინები, გამართა

დაწინაურებულ სამეფოში მუშათა მოძრაობა პოლიტიკურ ხასიათს მოკლებული იყო. მაშ რა მოუვიდა ინგლისს? რისთვის შეჩერდა მისი თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების ზრდა-განვითარება? რა მიზეზი მსოფლიო ბაზარზე მისი დამარცხებისა? სხვა და სხვა ქვეყნების ახლათ გამოჩეკილ ბურჟუაზიამ ირგვლივ შემოირტყა პროტექციონიზმის კედელი, არ დაუჯერა სირინოზის ხმით თავისუფალ კონკურენციის ქება-დიდების შემსხმელ ინგლისელს, დაადვა სხვა სახელმწიფოების საქონელს დიდი ბაჟი და განებიერდა, გავაჟკაცდა პროტექციონიზმის უბეში. ახალგაზდა ბურჟუაზიამ შეიძინა ახალი მაშინები, გამართა

საქართველო
საქართველოს
საქართველოს

1897) ინგლისმა ვერ წაიწია წინ, მაშინ როდესაც იაპონია 32 მილიონიდან 81 მილიონზე ავიდა, შეერთებული შტატები 13-დან 60, კანადა, 3,5—24, რუსეთი 2—11. იაპონიაშიც ინგლისური საქონელი, შედარებით სხვა სახელმწიფოებთან, თანდათან ნაკლები შედის. შედარებით 1889 წელს თან ინგლისი ასაღებს იქ ორჯერ მეტ საქონელს, რუსეთი კი ხუთჯერ, გერმანია სამჯერ, შეერთებული შტატები და ინდოეთი ოთხჯერ.

ამნაირმა ეკონომიურმა პირობებმა გამოიწვია დიდი ცვლილებანი ინგლისის შინაგან ცხოვრებაში და აგრეთვე მის გარეშე პოლიტიკაში. ინგლისელ კაპიტალისტს ახალ პირობებში არ შეუძლია თანდათან უმატოს მუშებს ქირა; დღემდე კი სხვებზე მეტ ქირას აძლევდა; სანამდის ამ ნაირი გზით სიარული არ იყო საზარალო, ინგლისელი ბურჟუა ადგა ამ გზას და ინგლისელი პროლეტარიატი პოლიტიკურ ბრძოლას უარს ჰყოფდა: კაპიტალისტი თავის დიდი მოგებიდან გადუგდებდა ხოლმე ფინანსს მუშებს, როდესაც უკანასკნელნი განაცხადებდნენ უკმაყოფილებას და მოთხოვდნენ ქირის მომატებას ან სამუშაო დღის შემცირებას. ამ ეპოქაში ინგლისელ კაპიტალისტთა და მუშათა შორის სუფევდა მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა, მაგრამ ეკონომიურმა ვითარებამ ჩააყენა რა შეერთებულ სახელმწიფოთა ბურჟუაზია ზემოხსენებულ ახალ პირობებში, ამ ორ კლასთა ერთი მეორესთან დამოკიდებულებამაც იცვალა ხასიათი, იცვალა ხასიათი მუშათა საზოგადოებრივმა ცხოვრებამაც. დღეს ბურჟუაზიას არ შეუძლია ახალ პირობებში (ბაზრის შემცირება) მისცეს მუშებს მეტი ქირა და ამნაირათ ჩააჩუმოს პროლეტარიატის ტანჯულ მკერდიდან ამოხეთქილი კვნესა — წყევლა. ახალ პირობებში კერძოთ, შინაურათ, უბრძოლველათ საქმე მათ შორის ვერ გაკეთდება. ბურჟუაზია ნებით ვერას დაუთმობს მუშას, რადგან მისმა შემოსავალმა იკლო და ბურჟუაზია კი თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას ვერ გამოიცივლის. აქ გაისკვნა ახალი ნასკვი, გაჩნდა ნიადაგი პოლიტიკური ბრძოლისათვის. ინგლისელ მუშებს ცხოვრებამ შეაგნებია, რომ ეკონომიური ინტერესების დასაცველათ აუცილებელი საჭიროა პოლიტიკური ბრძოლა, ახალ უფლებათა მოპოება და დაძველებულ საძირკვლების გამოცვლა. ეს ცვლილება წარმოადგენს ერთ უდიდეს შედეგთაგანს იმ ახალ პირობებისას; რომელშიაც დღეს მსოფლიო წარმოებამ ჩააყენა ინგლისის მრეწველობა. მეორე შედეგი ამავე მიზეზისა არის დაბადება ინგლისის პოლიტიკაში იმ მიმართულებისა, რომელსაც უწოდებენ — იმპერიალიზმს.

რა არის იმპერიალიზმი? იმპერიალიზმი მდგო-

მარცხს იმაში, რომ რომელიმე სახელმწიფო ცდილობს შეიძინოს, მისი საკუთროს რაც შეიძლება მეტი თავისუფალი ქვეყნები და ამნაირათ გააფართოვოს თავის საქონლისთვის ბაზარი და სხვა სახელმწიფოთა კაპიტალს კი დაუკეტოს კარი. ამ პირობებში ინგლისის მრეწველობა ისევ გაიხსენებდა თავის ახალგაზღვრებას და ბურჟუაზია შეიძენდა ახალ მილიონებს. მუშებსაც, რასაკვირველია, ერგებოდა ცოტა რამ, ე. ი. ცოტა ქირას მოუმატებდნენ და უმეტესი მათგანი იშოვიდა სამუშაოს. მიუხედავად ამისა მუშათა ინტერესების წარმომადგენელნი იმპერიალიზმის დიდი მტერნი არიან. რისთვის? მისთვის რომ ეს დროებითი გაუმჯობესობა ყალბ ნიადაგს არ ცვლის, პარტიას კი ზნეობრივად ასუსტებს, მის განვითარებას აფერხებს და იმავე დროს მტერს აძლიერებს. იმპერიალიზმს სხვა ცუდი მხარეებიც აქვს. როგორც კოლონიების შექმნას, ისე მორჩილებაში მათ დაკავებას უნდა ბევრი ჯარი, ძლიერი ფლოტი და ბევრი სხვა, რომელიც რეაქციონურ ძალას უფრო განამტკიცებს. აი ეს იმპერიალიზმი წარმოადგენს დღეს ინგლისელ ბურჟუაზია იდეალს, იმ იდეალს, რომლისკენაც მისი წრაფის მათი სული და გული. ამ ნიადაგზე დაიბადა ტრანსვაალის ომიც.

რით მიიქცია ტრანსვაალმა ინგლისის ყურადღება? თვისი ოქრო-ალმასის ერთობ მდიდარი მადნებით. ამ მადნებში ტრიალებს 1,800 მილ ფრანკი, რომელმაც 1898 წელს აქციონერებს მოუტანა 131,477,700 ფრანკი დივიდენდი. კაპიტალი ტრანსვაალის მადნებში ისეთ კარგ პირობებშია, რომ მის პატრონს აძლევს 33%, მაგრამ რადგან de facto მადნებში ტრიალებს მხოლოდ 1/3 ხსენებული კაპიტალისა, ნამდვილი სარგებელი აღის 100%-დის. ტრანსვაალში სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელიც საღდება. 1886 წ. შემოვიდა მხოლოდ 12,349,775 ფრანკის საქონელი, 1898 წელს კი ავიდა 265,822,375 ფრანკამდის. აქედან ცხადათ ჩანს თუ რამდენათ სასურველია ინგლისელ ვაჭრებისთვის ტრანსვაალის ხელში ჩაგდება. დღეს თითქმის მთელი წარმოება ინგლისელთა ხელშია. ეს ქვეყანა ეკუთვნის ევროპილინ გადმოსახლებულ ბურებს. მათი რიცხვი არ აღემატება 125,000. სულ მცხოვრებნი ამ რესპუბლიკისა იქნება ერთ მილიონამდე და შედგება კაფრებისა (700,000) და ევროპიელებისაგან. რაც ბურები აქ დასახლდნენ არ იქნება ერთი საუკუნე. ბურები იყვნენ მწყემსები და აფრიკაში ველურ ხალხთა შორის ცხოვრებამ კულტურულათ ბურები უკან დასწია; წერა და კითხვა ძრიელ ცოტამ იცის; მათი უმთავრესი საკითხავი წიგნი დაბადებაა.

მადნების გამოჩენამ დიდი ცვლილება შეიტანა ბურების ცხოვრებაში. დატრიალდა მილიონები, სახელმწიფო გადიდრდა, გაჩნდა დიდი ქალაქები, დიდი აღებ-მიცემობა... ბურებმა გაიგეს ფულის გემო, დაადეს გადასახადი მადნებში მწარმოებელთა და სხვა ვაჭარ-მეჭარხნებს. დღეს სახელმწიფოს შემოსავალი აღის 125 მილიონ ფრანკამდის; თითქმის მთელ ამ ფულს იხდიან გარეშე კაპიტალისტები და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მთელი წარმოება მათ ხელშია. მადნებმა მიიზიდა ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში ევროპიდან იმდენი სიმდიდრის მძებარი, რომ ლამის ბურები ჩაინთქან ახალ მოსულთა სიმრავლეში. ახალ მოსულთა დიდი უმრავლესობა ინგლისელებია და მათი პოლიტიკაც ჯონ ბულის პოლიტიკაა; მოგვხსენებთ *l'appétit vient en mangeant*—მადა ჰამაში მოდის და ინგლისელებიც რამდენათ მეტს იგებენ იმდენათ ემატებათ მადა და ცდილობენ თავის შემოსავალი გაადიდონ. ინგლისელს უნდა გადასახადი ნაკლები იყოს, თითონ განაგებდეს ტრანსვაალის საქმეებს, რადგან მთელი მისი სიმდიდრე იქ იბადება და იქ ტრიალებს; მაგრამ ბურები, რასაკვირველია, ნებით არ დამორჩილდებიან. რამდენისამე წლის წინეთ ინგლისელებმა მოინდომეს ტრანსვაალის შემოერთება, მაგრამ მაშინ ინგლისელთათვის იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა სამხრეთ აფრიკის ბაზარს და ამიტომ ინგლისმა სულგრძელათ დაუთმო სუსტ ბურებს; დღეს კი სულ სხვაა. ინგლისს აკლია ბაზარი და ამასთანავე სამხრეთ აფრიკაში ევროპიელ საქონლისთვის ბაზარი გაფართოვდა. ინგლისელმა ბურჟუაზიამ ჭეშმარიტათ განსაჯა, რომ, თუ ტრანსვაალი ხელში ჩაიგდო მერე ადვილათ გაბატონდება მთელ სამხრეთ აფრიკაში და ვინ იცის, ეგებ მთელი აფრიკაც მისი გახდეს... განა საუკეთესო ადგილები დღესაც ფაქტიურათ მის ხელში არაა! თუ ეს მოახერხა ინგლისმა, მაშინ მისი იმპერიალისტური იდეალიც ხომ თითქმის განხორციელდება. ამ გვარ პირობებში ინგლისი შეუდგა მიზნების ჩხრეკას; თუმცა ბურები თითქმის ყოველიფერში მზათ იყვნენ დაეთმობთ, მაგრამ ინგლისელებმა მაინც აიძულეს ბურები იარაღი აეღოთ ხელში თავისუფლების დასაცველათ.

დღეს გამწვავებული ომია ვეებერთელა ინგლისსა და პაწია ტრანსვაალს შორის. ვინ გაიმარჯვებს ეს კითხვა აქამდის ყველას ცხადათ მიაჩნდა, მაგრამ ბურებმა გააკვირვა ევროპა. აუარებელი სიმდიდრის პატრონ ტრანსვაალს ბლომათ დაუშნადებია რაც კია საჭირო ომისთვის. ტრანსვაალთან ომი უსათუოთ უნდა გართულდეს. ინგლისელების მიზანია მთელი სამხრეთ აფრიკის დასა-

კუთრება. ამიტომ ბურებთან ერთათ იბრძვის ჯი და უსათუოთ გვერდს ამოუდგებიან აგრეთვე ხატაილეუბი და კაპელები (?!). საერთო ჯარი კი მაშინ 100,000 გადააცილებს. ინგლისელები ჯერჯერობით მუდამ მარცხდებიან, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავენ, უკან დახევას არ აპირობენ და არც დაიხვეიან, თუ სხვაგან არ აუტყდათ ჩხუბი. ეს უკანასკნელი კი ადვილათ მოსალოდნელია. იაპონია თანდათან უფრო დიდ გავლენას იძენს ჩინეთში, რუსეთი სპარსეთში და უახლოვდება ინდოეთს, გერმანია ცდილობს თავის ფლოტს ერთი იმდენი კიდევ მოუმატოს და აღმოსავლეთში სხვებთან ერთათ მოქმედებს ინგლისის წინააღმდეგ, აფრიკაში კი მენელიკი, გაზეთების სიტყვით, აპირებს გაილაშქროს ეგვიპტეზე და შეიძლება რუსეთი და საფრანგეთი დაპირებოდენ დახმარებას.


ასეთ მდგომარეობაშია დღეს დიდი ბრიტანია, რომელიც ცდილობს გახდეს „უდიდეს ბრიტანიათ“. დღეს ძნელია გადაჭრით ითქვას, რა გზას დაადგება ინგლისის პოლიტიკა, როგორ გათავდება ბურებთან ომი. მაგრამ თუ ინგლისმა გაიმარჯვა, თუ სამხრეთ აფრიკა შემოიერთა, ინგლისის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შემდეგი მოვლენა მოხდება: ბურების დამარცხება იმპერიალიზმის გამარჯვება, ბურჟუაზიის გაძლიერება, მილიტარიზმის გამტკიცება, ე. ი. რეაქციონიზმის გაახალგაზრდება და მისი ბატონობის კიდევ დიდხნით გამეფება. მუშათა მოძრაობისთვის ინგლისში იმპერიალიზმის განხორციელება მეტათ მავნებელია, რადგან არა საკმარისათ შეგნებული მუშები პატარა ქირის მომატებით კმაყოფილდებიან და ამით პარტია სუსტდება და ჭეშმარიტ გზას ცილდება და სხვა. თუ კი ინგლისი დამარცხდა, ეს იქნება იმპერიალიზმის დამარცხება, ბურჟუაზიის დასუსტება, მისი ბაზრის შევიწროება, კრიზისი ახლანდელი წარმოებისა, მშრომელთა და მათ დამჭირავებელთა შორის ბრძოლის გამწვავება; მშრომლები უკეთ შეიგნებენ თავის ინტერესებს და ამას მოჰყვება აუცილებელი პროცესის დაჩქარება... ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს იმპერიალიზმს, ამიტომაც მას მარტო ინგლისი არ ეტრფის. ამავე გზას დაადგა გერმანია, შეერთებული შტატები, იაპონია და სხვა. ამ ქვეყნებზე მერე მოვილაპარაკებთ.

ქენევა: დ. თოფურიძე.

საჭირო განმარტება 1)

ზიდათ პატივცემულო ბ. რედაქტორო! ოზურგეთის ახალ-გაზღობა უმორჩილესათ ვთხოვთ ამ ჩვენ შენიშვნას თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალ“-ში ადგილი დაუთმოთ

1) ამ საგნის შესახებ ჩვენ რამდენიმე წერილი მივიღეთ ოზურგეთიდან. იმათში მხოლოთ ამ ერთს ვსტამბავთ.
რედ.



და მით აგვაშორეთ იმ საზოგადო შერცხვენას და ვითომ და იმ საერთო აზრს და შეხედულებას ნეტარ-სახსოვარ გ. წერეთელზე, რომელიც გატარებულია ოზურგეთიდან გამოგზავნილ დეპეშაში. წავიკიდებთ რა ეს დეპეშა „კვალის“ მეოთხე № ყველა ძალიან დაგვადონა, შეგვაწუხა და შემდეგ კალევიძიების აღმოვაჩინეთ რომ, ის შეუდგენიათ და გამოგზავნიათ მხოლოდ ორ-სამ პირს, სახელდობ: ს. კ—ს და გ. მ—ძეს (და მესამეც კარგათ არ ვიცო), რაიც დღეს ოზურგეთში თითქმის ყველამ იცის და რის დამტკიცებაც ყოველთვის შეგვიძლია.

აი, ორ-სამ პირს ოზურგეთის ახალგაზდობის შესარცხვენათ, მიწასთან გასასწორებლათ და (როგორც შემდეგ-გავიგეთ) გაზეთ „კვალის“-ს სიძულვილის და რალაც პირადი ინტერესის დასაკმაყოფილებლათ, თავის თავი საერთო ინტელიგენციის სახელ-წოდებით დაუჩრდილავთ და შემდეგი სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნიათ „კვალის“-ს რედაქციაში: ოზურგეთის ინტელიგენცია აფასებს რა განსვენებული გიორგის წარსულ ღვაწლს სამშობლო ლიტერატორის სასარგებლოთ, განსვენებულის ოჯახს მწუხარებით უცხადებს თავის თანაგრძობას“ო. აი. სად და რა დროს გაიზუზუნა ლაჩრის წვერ-წაცხვილი ისარმა; აი, ბატონებო, ღირს-საყურადღებო დაბალი და დაქვეითებული გრძნობია ქარ-ცეცხლში „ამობრუკული“ დეპეშა, რომლის შინაარსმაც ჩვენ ძალზე გაგვაცნობის-მოყვარულა და რომელშიაც მისი შემთხვევლების უფიცობა, შური და ლაჩრული მტრობა ნათლათ იხატება.

„ოზურგეთის ინტელიგენცია“ ჩვენ ეს სამართლიანათ შეგვიძლია ვუწოდოთ მხოლოდ ოზურგეთის ახალ-გაზდობას, (რაიც ცხადათ ჩანს ყველა საქველ მოქმედო თუ სხვა საქმეების დაწყებაში და წაყვანაში) და არა ორ-სამ პირს, რომლებსაც სხვების დაუკითხავათ, რიდე მალულათ, ასეთი შინაარსის დეპეშა შეუთხზავთ. და განა შესაძლოა, ისეთ პირს, ისეთ ქართველს ინტელიგენტი, შეგნებული ეწოდოს, რომელიც ვერ იცნობს, ვერ აფასებს ჩვენ მოღვაწეს და ისე კი პირადი ინტერესის გამო სხვების ქერქს ქვეშ ამოფარებული, მის ნაწერს და თავდადებითი ღვაწლს, გავლილს, წარსულს უწოდებს?! არა, ღმერთმანი, საკვირველია და ამასთანავე სასურველია ვიცოდეთ, თუ რამ აიძულა ეს არა-მკითხე ინტელიგენტები, რომ ოზურგეთის ქვეყნის თვალში შერცხვენა და მიწასთან გასწორება მოუწადინებიათ. მაგრამ შერცხვენა და შესაბრაღისნი თვით არიან, რადგანაც არა უწყინათ თუ რას ჩადიან.

ქ. ოზურგეთი. გულ-დაწყვიტილი.

რ უ ს ე თ ი 1899 წ.

სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვამ 1898 წელს მოგვცა 88¹/₂ მილიონი მანეთი დეფიციტი. ამასთანავე უნდა მოვიხსენოთ რომ სახელმწიფოს მთელი ვალი უდრის 7¹/₂ მილიარდ მანეთს და ყოველ წლივ ამ ვალის ზრდის-ტენში გადის 300 მილიონი მან... 1899 წ. ჩვენი სამხედრო სამინისტროს ხარჯმა 289 მილიონი მანეთიდან აიწია 323 მილ. მანეთამდე, საზღვაო ხარჯმა 67 მილ. მანეთიდან 84 მილ. მანეთამდე. სხვა 709 მილ. მანეთიდან დაიშნულა „მართვა გამკეობისთვის“. ხოლო

მთელი ბიუჯეტი უდრის 1 მილიარდ 571 მილ. მანეთს. ამ თანხიდან 1,150,162 მან. ხარჯავს უწმ. სინადი სასახლო განათლებას, და სასახლო განათლების სამინისტრო 3094 სკოლებზე 1¹/₂—2 მილ მანეთამდე. ცხადია, აქედან სახელმწიფოს ზირდაზირი მოკება არ მოკლის, სამაგიერათ მოკლის ფულის წარმოებაში დაბანდება და აქედან შემოსავლის გაძლიერება. და ეს წარმოება ამ ჟამათ რკინის გზების გაყვანა და გამკალება, რაზედაც ერთა შუა რიცხვით წელიწადში 150 მილიონი მან. იხარჯება. 1899 წ. 1 მარტს რკინის გზის ღირებულება 44,619 ვერსტის სიგრძეზე (38000 ვერსტი იყო, 97) გაჭყავთ კიდევ ახალი 9,141 ვერსტ. გზა და ნება დართულია 2,75 ნ ვერსტის გაყვანა. ეს ციფრები ნამდვილათ მოწმობენ მსხვილ მრეწველობის ორიოდ-სამიოდე დარგთა სწრაფ ზრდას.

რაკი ფულის ამ საქმეში დაბანდება საჩივანი შეიქნა, აშკარაა, წარმოების სხვა დარგთ ფული უნდა გამოცლად და აქეთ გაქანებულიყო. და ეს მართლაც ასე მოხდა. რკინის გზა, ფაბრიკა-ქარხანა—აი სად მოკროფა და მთელი კაპიტალი, განსაკუთრებით კი უცხოეთის კაპიტალი. უფულოთ დარჩენილ დარგებში ჩამოყარდა ფულის სიძვირე, და საქმე შეუეწინა, ხოლო უცხოეთმა კი შემოტანილ თაფნის ზრდის-ტენი მოხვეტა და რუსეთიდან გაზიდა. ამ კარემოებამ ბირჟაზე და ბანკებშიც ფულის კრიზისი გამოიწვია, ამის დასმტკიცებლათ გავუგეთ ფულის ბაზარს. ჯერ კიდევ იანვარში ისმრდა ჩივილი ბირჟაზე ფასების დაცემის შესახებ. შემდეგ აზრილში ნიკოლაევის ბირჟის სრული სიკოტრე მოკდა: ის გამოიწვია მიუცილებელ ნივთების გაძიარებაში, რაიცა დაბოლოვდა დუქებისა და მღაზიების დამსხვრევით და ებრაელების მოთეთქვით. ხოლო, რადგან თანამედროვე კაპიტალისტურ მრეწველობაში თითოეული ცალკე წარმოება კრედიტის მაგარი ქსელითაა კახლართული ერთიმეორეში, ნიკოლაევის თან მოჭევა ბევრი ფირმების სიკოტრე ოდესში, რიგში, კიევიში და ვარშავაში. ზეტერ-ბურღში ზირკლათ შეწვიტა ვალების ხდა მილიონერმა ფონ დერვიზმა. მისმა ქარხანამაც ნიუნი ნოკოროდში დიდი განსაღდელო გამოიარა. შემდეგ მოსკოვში დაეცა მამონტავი. კერძო ბანკებმა მოსხეს კრედიტის ძლევა. განსაკუთრებით საგრძნობელი კახდა ეს ნიუკოროდის ბაზარზე. ზრდის-ტენში მოკეპულ ვექსილების რაოდენობა აღემატება 1898 წლისას 390%-ით. აქციების ფასები ბირჟაზე კიდევ უფრო დაეცენ. დიდათ შევიწროებულ მდგომარეობაში ჩაიჭრენ ზოლოფრევი და ხლეულოვი. შიშმა თანდათან მოიღვა მთელი სავსტრო-სამრეწველო მხარე. ბ. ფინანსთა მინისტრმა საჩქაროთ აუწვა რომ კრიზისისაკან შიში ხაადრევი, რომ ბაზრის არეული მდგომარეობა გამოიწვია კერძულ კაპიტალის აფრიაკაში და ავსტრალიაში გადატანამ, იქ სესხის (უჩეტნი) ზრდის-ტენის აწევამ და მხოლოდ რამდენიმე საკუთარი


სხეულისათვის გატაცებამ. სახელმწიფო ბანკმა შეიქმნა ფინანსების 3 მილიონის აქციები. კერძო ბანკები ისევე ისევე უზიარდნენ მეტისმეტ უფულობას. ყველაზე მეტად მოთქვამდნენ შემამულებები ზურზე და სხვა ვექსილზე კრედიტის შეწვევას. სახელმწიფო ბანკმა გამოცხადდა 10 მილიონის კრედიტი. ფინანსთა მინისტრმა განსწავლავა ბანკითა სინდიკატი სახელმწიფო ბანკის მმართველის მეთაურობით. — საბირჟო ფასების გასაწესრიგებლათ და შესაკავებლათ დონისკში შარსუკის ფირმის შექმნა და ქუჩის არეულობის გამორეცხვა. მოქმედება შეჩერდა მონეტის გამოსვლის საზოგადოებაში, დობროვ და ნაბოკოვსის ამხანაგობა და რამდენიმე ფირმაში აქციები, ცარიცხისში, მაროუხლოში. ზეტრეზურდის ფაბრიკებს, არა ჩვეულებრივი უმოდრობის მოქმედება. აქაც, როგორც სხვაგან ევროპაში, წყდება მუშაობა და მუშების ითხოვნი. 8 დეკემბერს ცხადდება უმადლესი რესკრიპტი ფინანსთა მინისტრის მიმართ. „თუმცა ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ ფულის ბაზარზე დიდ გავლენას ახდენს ერთმანეთზე დართული უსამართლო გარემოებანი, როგორც მაგ. კანტალის საყოველთაოთ გაძვირება, რაც კიდევ უფრო გააძლიერა ინგლისის ტრანსპორტის რევიზია, ცუდმა მოსავლამ, და ჩვენის მრეწველობის უცნაურ-სისწრაფით ზრდამ, მაგრამ ეს მდგომარეობა: სრულყოფილად არ თხოვლობს რაიმე საზოგადო განსაკუთრებითა ზომების მიღებას იმას გარდა, რაც უკვე მიღებულია. მხოლოდ ნამდვილი დროს შესაფერისი იქნება უკვე დაძველებული საბირჟო და სააქციონერო კანონების გადახიზვა. მე დარწმუნებული ვარ, ნათქვამია შემდეგ რესკრიპტში, რომ ამ დროებით მოკლებილ სიმძლეობაზე თქვენ, სერკვი იულის ძვე, სრული სიმარჯვით დაიცავთ სახელმწიფო და სახალხო წარმოების ინტერესებს, რის თავდაობაც არის ჩემ წინაშე თქვენი გამოცდილება, დაუნხრამელი ენერჯია და დახელოვნება, რაც ისე თავად სხინია საფინანსო საქმის მართვა-გამგეობაში“ . . .

ზემო აღნიშნულ მდგომარეობის გასაწესრიგებლათ გასულ წელს მთავრობამ კიდევ შემდეგი ზომები მიიღო: დამტკიცდა ახალ ფულის კანონი, რომელმაც საბოლოოთ განამტკიცა მისი რეფორმა. ღირებულების საზომათ დღეოდან მიღებულია აქროს მანეთიანი—17424/1000 დოლო წმინდა აქრო. თითოეულ სულზე იცემა ვერცხლის სამ მანეთიანი. ქალაქის გამოცემა მინიმუმადეა დაყვანილი. ამ უკანასკნელი ზომის საზოგადო მნიშვნელობას ფინანსთა მინისტრი ასე ხსნის: „დიდთ საქონლად, რომ ღითონის ფული იქნას ხმარებაში. თუ ეს არ იქნა და ევროპა აქროს მხოლოდ ბანკებში და ხანაში შეიკრიბოს, მაშინ, თუ ღითონის ფულმა გარეშე ქვეყანაში იწყო დაქანა, მარტო ბანკი და სახანო დაწესებულებები იგდებდნენ ამ მოძრობას. მცხოვრებნი კი, რომელნიც თავის მოთხოვნილებებს საკრედიტო (ქალაქის) ბიუჯეტებით იკმაყოფილებენ, დიდხანს ვერ მიუხვდებიან ცვლილებას ფულის საქმეში და უნდოთ, მტრულათ

დაუწებენ ურტობას ფულის გასესხების საქმეს, მხოლოდ უმთავრესათ აქროს ფულად ხმარებაში, მაშინ აქროს დახვარებაში ქვეყანაში ხდება არა მარტო ბანკებიდან, არამედ იქიდანაც, სადაც ის ხმარებაშია. ფულის ნაკლებობა ყველაზე წინ საგრძობელი ხდება თვით მცხოვრებთათვის, და მაშინ ესენი თითონვე ცდილობენ მის წინააღმდეგ ზომების მიღებას, რაც დიდათ ეხმარება მთავრობას სახელმწიფოში ფულის საქმე წეს-რიგში ჩაყენოს (1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვა). გამოცხადდა კანონი, რომლის ძალითაც სამთო-მადრო ქარხნები უნდა ემორჩილებოდნენ საფაბრიკო და სამთო-ქარხნო საქმეთა მთავარ საკრებულოს, რომელსაც შეადგენენ: სამინისტროთა წარმომადგენლები და 9 მრეწველები. რუსეთი იყოფა ექვს საფაბრიკო ოლქებათ. საფაბრიკო ინსპექტორთა რიცხვი უნდა გამრავლდეს 300-მდე. საკუბერნიო საკრებულოს ახლა შეადგენენ: კუბერნატორი, ვიცე-კუბერნატორი, ზოგადი რევიზორი, ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, ფაბრიკის ინსპექტორი, სამთო ინჟინერი, 5 მრეწველები.

სახელმწიფო რევიზორის გზათა სანებისო კასეთან მიიღება ყველა რევიზორის გზის მოსამსახურეთა სიცოცხლის დაზღვევა შედავითანი ზირობებით. ხმები დადის, რომ ასევე უნდა დაიზღვევონ ყველა. დიდი ფაბრიკა-ქარხნების მცხოვრებთა თვალყურის კვების გასაძლიერებლათ უნდა მოემსტოს 160 ზოლიციელი და ურიალნიკი, ამისთვის გადაღებულია ორ მილიონ ხანკვარი მანეთი.

ახლა გადავიდეთ მუხრნობაზე. ფული მუხრნობათა, როგორც ვთქვით, მრეწველობაში გადავიდა, გადატანილ იქნა. ზურის მწარმოებელთა გაკატრების და შიმშილობის გზას დაადგა. შიმშილობის მიზეზებათ ოფიციალურათ მიღებულ იქნა: გლენთა უმრავლესობის საზოგადო გადატყება, მისი სიძაბუნე გაუძღვეს საკუთარი ძალ-ღონით ზირველი მოუსავლობის შედეგებს. . . 1897—1898 წლის შიმშილმა 35 მილიონი ხარჯი დაადგა სახელმწიფო ბიუჯეტს. 1898—1899 წელს კიდევ მოუსავლობა. წითელი ჯვრის საზოგადოების უწყებით, ზურისა და სხვა მცენარეთა მოუსავლობა მოეფინა ევროპას, რუსეთის და აღმოსავლეთის შიდა კუბერნიებს. მთავრობამ მიმართა საზოგადოებას დამშუულთ დასახმარებლათ. განარებული საზოგადოება დაეწავა ამ „უნგრის ძმათა“ შევლას. სტუდენტები, კურსისტები, ინტელიგენცია მოეღვა სოფლებს. 1898 წლის მოუსავლობამ განსაკუთრებით აზარადა ყაზანის საზოგადოების, ვიატკის და სამარის კუბერნიები. მაგ. კაზანულზე წითელი ჯვრის შემწეობით სარგებლობდნენ: ვიატკის კუბერნიაში—14,000 სული, საზოგადოების—25,000, ყაზანის 62,000, სამარის და უფიშის კუბერნიებში 172,000 სული. მცხოვრებთა გაჭირვებულ მდგომარეობას შევნივრათ გვიხატავს — რი ვორობიოვი. მის ნაწილში, ციმბირის მხარეში,



40,000, მცხოვრებთაგან (1899 წ. ივნისში) შემოწმებული იქნა სურავანდით ავთოქოფი 10,000 სული. იანვარში და თებერვალში ამავე ნაწილში დამარხეს 3,000 სული. მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ მარტო გაბოკვება ვლახთა საკმაოდ შეძლების ვერ აძლევდა: მათი მეურნეობის საბოლოო გაჭქრა, ზირუტუვი ამოწდა... მაგრამ აი მოუსწრა 1899—900 წლის ახალმა მისაგაღმა. საზოგადოება ის იყო თავისუფლათ ამოსუნთქვას ღამობდა, რომ სამარეთიდან მოისმია: ბესარაბიის, ხერსონის, ტაურისკის გუბერნიებში, კასტრანისლავისა და ახტრასისის რამდენიმე ნაწილში და დონის ოლქში შიმშილობდა. მათ თან მიჭვევენ ზოგი მახრები სამარისა, სარტოვისა, ესტლიანდიის, ლიფლიანდიის, ნოვგოროდის; კოსტრომის, ნიჟე-გოროდის გუბერნიები. საზოგადოებას ეხერგია გავრდიდა. საშუალება შემიცირდა. ჯერ კიდევ 1899 წლის დასაწყისში მთელი საზრდის რადენობა შეადგენდა 10840 ათას ჩეტ. ¹⁾ ანეულს (შემოდგომის ნათესი) და 6454 ათ. ჩეტ. გაზაფხულის ნათესს, ე. ი. ძლივს იმის ნახევარს, რაც საჭირთა. სამხრეთში შემოდგომასე განხდა ტიფი და სურავანდი.

(შემდეგი იქნება)

მუმი წლის წინათ*)

(ძველი მამასახლისის ნამშობი).

გიორგი წერეთლისა.

ნაქერალას ქედია უზარმაზარ კედლათ აყუდებულნი რაქა-იმერეთ შორის. იმერეთისკენ მოქცეული ფერდები კლდოვან ფრწინები აქვს, რაქისაკენ მიქცეულნი, უფრო აბერილნი, ვაკე-გორებათ გაეკვრებიან კავკასიის მთებისკენ. ნაქერალას გადმოღმა მხარე დაკიდებულია. მთის ძირიდან მოკიდებული დაგრეხილი მთიან-გორებიანი ოკრიბის მახრა დაწყდება ქუთაისის ქალაქთან. მის ქვემოთ რიონის ქალები დაეფინება ზღვამდის. ნაქერალას გადღმა რაქის მახრა თანდათან მიიგრინება მაღლა და აღის კავკასიის მთის წვერებამდის. ამისთვის გადმოღმა მხარე შეუღარებლათ ცხელი ჰავისა არის გადღმაზე: იქით მხარე ძალიან გრილია და ზოგან ცივიც არის. ეს არის მიზეზი რომ ნაქერალაზე მუღამ ქარი ჰქრის, თუ სხვა, არ ვიცი, მხოლოდ ეს კია, რომ იქ, ნამეტნავათ ზამთარში, ქარი ერთგულ მოჯამაგირესავით დღე ნიადაგ ხვეტავს ნაქერალას ფრწიან ფერდებს და აყრის ნამქერს ოკრიბის მახრას. ვინ იცის, იქნება ამიტომაც

უძახდენ ამ ქედს ნაქერალს. (ანუ ნაქერალის) ერთ ზამთარს მე და ჩემი მამალა მოვხვდით ამ ნაქერალას ძირში. მთელი დღე თოვლი გვივსებდა თვალებს და ცივი ქარ-ბუქი ნემსივით ჩხვლელტა ჩვენ ტანს. ზოგჯერ ნაბუქში ცხენიან-კაციანა გავივლიდით ძირს, ასე რომ ჩვენ ცხენებს მხოლოდ ყურები მოუჩნდა. საღამო ჟამს რის ვაი-ვაგლახით მივატანეთ ნაქერალას და შევეფარეთ ერთ დუქანს. ვინ გამოხატავს იმ სიამოვნებას, რომელიც მე გამოვცადე, როდესაც მედუქნემ გაშეშებულ ფარგასავით გადმომიღო ცხენიდან, შემიტანა დუქანში და კოდივით დამაყუდა ცეცხლის პირს. მაღლობა ღმერთს, სიკვდილს მაინც გადავრჩი მეთქი—უნებურათ წამოვიძახე.

დღე და ღამე რომ გაიყარა, ქარი გრიგლათ გადაიქცა და ნაქერალას წვერიდან გადმოხვეტილ ნამქერს უწყალოთ გვაყრიდა თავზე. კიდევ კარგი, რომ ამ დროს დუქანში ვიყავით შეფარებული და ცხენები ბოსელში გვეყავდა დაბინავებული.

გრიგალი თითქოს ამითი გამოჯავრებული, რომ მისი წერანი ხელიდან დავსხლტით შემთხვევით, დაგვზუზუნებდა, დაგვჩხაოდა და დუქნის სახურავს უხვათ აყრიდა ნამქერს. აგერ ჯაგებში შემოკვეთილ კურდღელს რომ მონადირენი შემოადგებიან, თოვლის გუნდებს დაუწყებენ სროლას და თან უცაცხანებენ, ქარიშხალიც ისე გვიცაცხანებდა, თითქო ჰსურდა ჩვენი გარეთ გამოვრეკა. მაგრამ გავდგით ფეხი და მის მუქარაზე გავისქეღეთ ყურები. როგორც ჯაგში ჩამალული ქვეიანი კურდღელი, ჩვენც ისე გავინაბეთ და სინილისის დასამშვიდებლათ ვიმართლეთ თავი უკვდავი პოეტის სიტყვებით: საცა არა სჯობს, ვაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგანო. შემოვუსხედით ბუხრის ღუზ-ღუზა ცეცხლს და შევეუდექით ვახშმის თავდარიგს. ჩვენ ვიყავით ხუთი კაცი; გვერია ერთი ნამამასახლისარი ფრიად კარგი მომღერალი და მგალობელი; მას ახლდა მობანე და მოძახილი.

— მედუქნე! შევძახე, — აბა რა გაქვს ამალამ ჩვენთვის?

— ღეთის მოწყალება ყველაფერი კაი, ჩემო ბატონო: კარგი მსუქანი დედალი, კარგი რაჭული ლორი; იმისთანაა, ბატონო, რომ გახედოთ, ქარვა გვეგონებათ; კურსეველი ღვინო, ჭიქაში ისე სჭვირს, როგორც იაგუნდი. პირში ისეთი ფუცხუნაა, ბატონო, რომ მისი დაღვეა და თავ-ბოლის აღენა ერთი იქნება.

— ჩვენც ეგ გვეჭირვება, ჩემო ძმაო, — მაღიანი პირის წლაკუნით დაუმატა ნამამასახლისარმა. ამისთანა უბედურ ღამეში, ვინ იცის, რა მოგვივა. იქნება ქარიშხალმა მთელი ნაქერალას თოვლი სულ

¹⁾ ჩეტვერტი—სამ კოდ ნახევარია.
*) ეს მოთხრობა იყო დაბეჭდილი 1886 წელს გაზ. „ივერიაში“.

ამ შენ ღუქანს თავზე დაახვეტოს ამაღამ და ჩვენც ქვეშ დაგვიტანოს. თუ შენი ფუცხუნა დვინო არ გაგვიჯდა ტანში, სხვა რა გაგვადლებინებს.

— ფიქრი ნუ გაქვს, ბატონო; ქარიშხალი ყოველთვის ასე ემუქრება ამ ჩემ ღუქანს, მაგრამ ჯერ ერთი ყავარიც ვერ შეუგლეჯია.

— ისემც კარგი დაგმართოს ღმერთმა.—დაცივით დაპკრა კვერი ნამამასახლისსარმა; მერე გაღისვა ხელი უღვაშებზე, შემომხედა და დაიწყო:

— კნიაზო,—ასე მეძახოდა ნამამასახლისსარი. — თქვენ რომ ნოეს მტრედსავით არ გაგვჩენოდით, უსაშველო იყო ჩვენი მდგომარეობა, სადმე თოვლის ბუქი დაგვმარხავდა...

ამ დროს ქარიშხალმაც ათას ნაირათ დაფშტვინა ღუქანის ქვრიტიმალეში, თითქო ნამამასახლისსარის სიტყვებს კვერი დაპკრაო. იმ წუთას ბუხრიდანაც გამოივარდა ბულქვათ კომლი და დაგვწვა თვალები.

— სოროში რომ მეღიას კომლს უხრჩოლებენ, მგონია, ჩვენც ისე გვიპირობს ეს ქარიშხალი—დაატანა ნამამასახლისსარმა.

მართლაც ისეთი კომლი გადგა ღუქანში, რომ ცოტა ხანს კიდევ დაცლოდა, ან გავიგულებოდით, ან გარეთ უნდა გამოვცვინულიყავით. მაგრამ ღმერთი შეგვეწია, რომ როგორც უცებ გაივსო სახლი კომლით, ისე უცებ გაპქრა მის ფარლალეში.

— ვაძლიეროთ ცეცხლი ამ ბუხარში, სხვა ღონე არ არის. მეღუქნე, ხის კუნძები ხომ ბლომით გაქვს?

— კი, ბატონო,—მიიძახა მეღუქნემ და ისეთი ხის ნამორი გამოათრია ბოსლიდან, რომ ორმა კაცმა ძლივს შეღვა პირ-ღია ბუხარში...

— სიცოცხლე გაქვს, მაგან ცეცხლი დააგუგუნოს! წამოიძახა ხელების სრესით ნამამასახლისსარმა.

სითბო მართლაც გაგვიჯდა გვერდებში, წალებზე ყინვები შემოგვადნა, ფეხსაცმელები დავიძვრეთ და დავეშრით. ამ დროს ვახშამიც მზათ იყო: მეღუქნე მარდათ დაფაცურობდა. ნამამასახლისსარმა იკისრა მოურაობა. ის იყო სამფეხა სკამზე წამომჯდარი და იქიდან აძლევდა ყოველ-ნაირ ბრძანებას.

— ჩქარა, მეღუქნე, ჩქარა!.. მისძახოდა—კნიაზი დალალოლია, რაც არის მალე მოგვიტანე. მე გეტყვი ამისთანა სტუმრები ხშირათ მოგივა!—თვალეები გააპარა მეღუქანისაკენ, თითქო ანიშნებდა, შეამკეო. იმანაც მორთო რეჩები.

— ნეტაი ღმერთი შემადლებინებდეს მაგის პატივის-ცემას, თვარა მაგის გულისათვის თავს რავა დავზოგავ. მთელი ეს ჩემი ღუქანი მაგას ენაცვალოს. მაგის სახელი ღუნიაზეა მოფენილი (აშოროს ღმერთმა, თავის დღეშიაც არ გაუგონია. რომ ვისმე ეკითხნა, ვერც იტყოდა, ვინ ვიყავი). ჩემ საწყალ ღუქანს მარტო მაგისი მოწყალე თვალი აკლდა, აწ რაღა უჭირს, ისე გამდიდრდება, როგორც შიოს მარანი.

— მაღადეც, მეღუქნე, მაღადეც!.. კარგი

სიტყვა-პასუხისა ყოფილხარ. არ მეგონე, ძმობამ, არ მეგონე—ამხნევებდა ნამამასახლისსარი.

შევრცვი, ვგრძნობდი, რომ პირზე სიწითლე წამომერია, ვიცოდი, ეს სულ იმერული თილისმობა იყო, მაგრამ რა მექნა. შევიფერე ქება, აქ მეტი აღარა გაეწყობოდა—რა და შეეძახე მეღუქნე ჯიბიას სიამაყით:

— აბა ძმობილო, რაც გეშოვებოდეს მოგვიტანე, შენ დარდი ნუ გაქვს მეთქი.

— იმე, რისი დარდი მექნება, ჩემო ხელმწიფე. შენისთანა სტუმარი კაცს მოუვიდეს და იმას კიდევ საფიქრალი რამე ჰქონდეს, ყელ-გამოსაჭრელია... შენ რომ მიბრძანო შეიღოს დაგიკლავ, იმ ერთათ—ერთ შეიღოს, ის შეიღოი ნუ მომიკვდება!

— მაღადეც, მეღუქნე, მაღადეც!.. ვიცოდი არ შემარცხენდი, მიტომაც მოვიყვანე შენთან ეს კნიაზი, თვარა სოფელშიაც კი უშოვნიდი ბინას!.. მე ხან ვწითლდებოდი, ხან ვფითრდებოდი სიანჩხლით. ერთი გული მეუბნებოდა, წვერში ვეცემი მეღუქნეს, როგორ მიხედავს ასე აშკარათ ჩემ გასულელებას მეთქი; მაგრამ მეორე გული მაყენებდა: ამისთანა გაჭირვების დროს ამდენი პატივი გცეს, მაღლობის მეტს სხვას რას ემართლებიო. მივეცი თავს შოთმინება და იმათ ქებაზე, მე რაღაც ახირებულათ ვიღრიჯებოდი.

რაც უნდა ხელ ძვირი ვყოფილიყავი, ამდენ ჩემ ქება-დიდებას შემდეგ თავ-დაქერა აღარ გამოდგებოდა, ნამამასახლისსარს ვუთხარი, თუ კაცი ხარ, ერთი ამაღამ კარგათ მოალხინე მეთქი.

— კი შენი ჭირიმე.

მერე უცებ შეძახა მეღუქნეს:—დაახალე ქული, ბიჭო, დაახალე.

— ასემც თავი დაექცეს კნიაზის მტერს და მაწყევარს - გახდა ხეთქა მეღუქანის ბოხობს მიწაზე. იმისგან აღენიღმა მტვერმა ცხვირის ნესტოები აგვივსო.

— რა, ჩემო ძმაო, გინდა კომლს დაუხრჩვივართ, გინდა შენ ნავავს, წაილაპარა ნამამასახლისსარმა ჩემ გასაგონათ.

— უკაცრავათ, თქვენი ჭირიმე, ეს თქვენი სიამოვნებისა იყო!.. თქვენ ბძანებას ველარ გაღუვედი!.. ნავავში ამოგანგლული ქული გაბერტყა და ისევ დაიხურა. ის იყო რაჭველი, მაგრამ ყმაწვილობიდან კახეთს იყო გადავარდნილი: თავის მებატონეს, რაქის ერისთავს გაქცეოდა; თფილისში დიდხანს ეცხოვრა, მაგრამ ხეირი რომ ვერ ენახა, რაც თითო-ოროლა გროში შევეგროვებინა, იმითი ნაქერალას ძირში ღუქანი გაეღო. ლაპარაკში უფრო ქართლ—კახეთის კილოს ხმარობდა, თუმცა აქა-იქ იმერულსაც ურევდა.

ცოტა ხანს იქით მეღუქნემ ცეცხლის პირს ტაბაკი დაგვიღვა, ზედ ბროწყულ-გადასხმული დედალი წამოდვა, გვერდით ამოუწყო რაჭული ღორის ღორი, გარს შემოუმწკრივა სასასმო ქიქები, მასთან ოთხ-ოთხი ბოთლი ღვინით საესე და მერე



გაფიცებული კეცის ქადები მოაყოლა. ამდენ სიკეთეს ნამამასახლისარის კარგი მადაც ზედ დაერთო. არც მე ვიყავი უმაღლოთ. ამისთანა მასპინძლობამ მთელი დღის ნამგზავრნი ნეტარებაში შეგვიყვანა. ნამამასახლისარმა გაუსვა ხელი: სანამდის ჩვენ ორი ლუკმის ჩადებას მოვასწრებდით, იმან ორი მქადი მიახვია, ერთი ღორის კელავერი, ნახევარი ქათამი და ბოთლ ნახევარი კურსეველი ღვინოც ზედ დააყოლა. სანამდის კარგათ არ შეჟინებდით, არც სუფრიდან აუღია თავი და არც ხმა ვისმესთვის გაუცია. შემდეგ კი წამოაპყრო თავი, დალია ჩემი სადღევრძელო და მორთო ძველი მრავალ-ჟამიერ, მას მოაყოლა მოსვლისა, მაყრული, გიხაროდენ მიმადლებულო, განათლდი, განათლდი ახალო ცრუსალიმ, და მრავალი სხვა. იმათთანა შეწყობილი ხმები და გალობა ჩემ ყურებს დიდი ხანია არ სმენია. საზოგადოთ ოკრიბა ძველათგანვე ყოფილა გენათის სამწყსო. იმ დროს ოკრიბის თავად-ახნაურობა განთქმული ყოფილა გალობით. ამ წოდებიდან გამოსული წარჩინებულნი მგალობელნი გენათის მონასტრის საკათედრო ქოროს შეადგენდენ. კანდელაკთა გვარი მაინც განსაკუთრებით ნაქები ყოფილა საეკლესიო გალობაში. დღეს ოკრიბაში თავად-ახნაურთა გვარი თითქმის მოსპობილია. წარჩინებულთა გვარნი ან ამოწყვეტილა, როგორც მაგალითათ მხეიძენი, რომელთა რიცხვი ითვლებიან წმინდანი მამულის მებრძოლნი დავით და კონსტანტინე, ან ბარათ გადასახლებულან.

მაშინდელი გენათელის მაგიერათ დღეს მონასტერის უფროსათ წინამძღვარია. დიდებული ქორის მაგიერ დღეს იქ ისმის მხოლოდ მოხუცი ბერის მტკნარი კირიალეისონ. მაგრამ

რაც ერთხელ სულსა ღრმათ დააჩნდების, საშვილი-შვილოთ გარდაიცემის.

ოდესმე სახელ-განთქმული თავად-ახნაურობის წმინდა მოვალეობა დღეს თითქმის კვლავ განელეებულა და აფეთქილა ოკრიბის გლენ-კაცობაში. ამ ჟამათ თითქმის ერთ გლენსაც ვერ ნახავთ, რომ ძველი გალობის კილო ზედ-მიწევნით არ იცოდეს. იმას შეჰყვარებია გენათის მონასტრის სულიერი ნაშთი. იშვიათათ შეგვხვდება ისეთი გლენის ღარიბი ოჯახი, რომ თავის ღარიბული პურის ქამა საგალობლებით არ შეამკოს. ამის შემხედვარეს უნებურათ მოაგონდება კაცს ამირანის ზღაპარი. თუმცა მძვინვარე ბედს ამირანი მოუკლავს, მაგრამ მის ფარ-ხმაღს მისი ჯერეთ უწლოვანი უმცროსი ძმა უწვდის ხელს და ზღაპარშიაც ხომ ისე არის გამოყვანილი.

(შემდეგი იქნება)

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა .

Роза Люксембург. Промышленное развитие Польши С. П. 1899 г. ч. 50 к.

(როზა ლუქსენბურგი. მრეწველობის განვითარება პოლონეთში).

ესაველეთ ევროპის დღევანდელმა ინტენსიურმა ცხოვრებამ, წარმოება — მრეწველობისა და ვაჭრობის სისწრაფისა ზრდამ მრავალი უთანხმოება და უსამართლობა გამოაშკარავა ცხოვრებაში, მრავალი სრულიად ახალი კითხვები წამოაყენა გადასაწყვეტათ. ცხოვრების საფუძვლიანათ რკვევა და შესწავლა თუ თქვამს იყო საჭირო, დღეს უფრო საჭირო კი არა — აუცილებელია კაცობრიობისათვის. ცხოვრების კვლევაში ცხადათ დაუმტკიცა უმრავლესობას ეკონომიური კითხვების დიადი მნიშვნელობა; რაც დრო გადის, თანდათან უფრო მეტ მომხრეს იძენს ის ჯეშმარიტება, რომ რომელიმე ერის ეკონომიკის შეუსწავლელათ შეუძლებელია მისი ისტორიული ცხოვრების ასსნა და შეკვება. თუ აქამდე ბუნების მეტეფელებს ეპყრა უმთავრესი ალავი, დღეს ეკონომიური კითხვების რკვევას ეძლევა უზირატესობა. სსსამეფნო ის არის რომ ამ მრამში ქალები გულმხურვალე მონაწილეობას იღებენ. ერთ ამ გვარ მაგალითს წარმოადგენს ანაგაზ-ზრდა ზღაპრული ქალი რაზა ლუქსენბურგი, რომლის ნემეცური შრომა ზღაპრული მრეწველობის განვითარების შესახებ ამ ჟამათ რუსულათაც გადიოდაგმნა. როგორც ავტორი გვიჩვენებს თავის ზატარა მაგრამ საყურადღებო წიგნში, თითქმის შესამოცე წლებამდე მიწის მუშაობას უმთავრესი ალავი ეჭირა ზღაპრული ცხოვრებაში, საზოგადო საქმეები თავად-ახნაურობის ხელში იყო ერთიანათ. გლეხობის განთავისუფლებამ, ფულის უქნალობამ და ზოგიერთმა სხვა წვრილმანმა მიზეზებმა ზღაპრული თავად-ახნაურობა დაავადანა და დღეს მისი ადგილ-მამულის 15% ურიებისა და ნემეცების ხელშია, 15% გლეხობას შეუძენია, დანახენიც დღეს თუ ხვალ ვალში გაიყიდება. მრეწველობამ წინ წაუსწრა მიწის მუშაობას და თანდათან დაიჭირა უმთავრესი ალავი ზღაპრული ცხოვრებაში. ერთ დროს ზღაპრული მთელ ევროპას კევაგდა თავისი პურით. დღეს კი თითონაც ძლივს ყოფნის, სამაგიერათ მის წარმოებას ზღაპრული, რუსეთში და ევროპაშიც ბაზარი აქვს მოხეობული და ამ ბაზარს ის ახლა აზიაშიც იძენს. ავტორი გვიჩვენებს ზღაპრული წარმოება-მრეწველობის თანდათანობით ზრდას. ავტორი იმ აზრის არის, რომ ზღაპრული მრეწველობა მთავრობის მეტადინეობამ ააყვავა. იმ დროს როდესაც ზღაპრული უმთავრესი ჩაწილი რუსეთს შეუერთდა, ზღაპრული უმთავრესთ მიწის შემუშავებას მისდევდენ; მიწის შემუშავება კი სხვა და სხვა გარემოებათა გამო, რომლებიც ავტორს ჩამოთვლილი

აქვს, იმ დროს იმდენათ დაქვეითებული იყო, რომ ზო-
 ლანეთი რუსეთის სამეფოს წარწლის მეტს არას აძლევ-
 და. მთავრობა იძულებული იყო შედგომოდა ახალი წეს-
 როების გამოწვევის შემოსავლისათვის; და, რადგანაც სა-
 უკეთესო წესებს მრეწველობა წარმოადგენდა, მთავრობაც
 შეუდგა მეტადინებებს, რომ ზოლანეთში მრეწველობა აე-
 უფავებინა. მთავრობამ დააარსა ფინანსი სამრეწველო შინაგუ-
 ბის სასაქონლო, უფასოთ აძლევდა ყველას მასალას ასე-
 თი სახლებისათვის, ათავისუფლებდა ვაჭრებს და მრეწვე-
 ლებს სხვა და სხვა გადასახადისგან და სხვ. ამგვარ ზო-
 მებს ის შედეგი მიჰქვამდა, რომ ერთი მხრივ თვით ზო-
 ლანეთში მიჰქვამდა სული ვაჭრობა — მრეწველობას, მე-
 რვე მხრივ კერძობიდან და სხვა ქვეყნებიდანაც ძალიან
 ბევრი ვაჭრები და მრეწველები გადმოვიდნენ ზოლანეთში
 და გასწესეს ქარხნები და ფაბრიკები. ასეთი მოძრაობა
 ზოლანეთში დაიწყო ამ საუკუნის მეორე წლებში; აქედან
 მოვიდებოდა მრეწველობა თანდათან იზრდებოდა და სა-
 მრც და ათ წლებში ისე გაიზარდა და გაშალა ფრთები,
 რომ დღეს ზოლანეთის მრეწველობას, როგორც ავტორი
 სასაბუთაისებს, მესამე ადგილი უკავია მთელ რუსეთში.
 რადგანაც ზოლანეთის ბურჟუაზია რუსეთის ბურჟუაზიას
 მეტოქეობას უწევს, ამიტომ ზოლანეთში ბევრს ეძინოდა
 და დღესაც ეძინა, ვაი თუ მთავრობამ სხვა და სხვა ზო-
 მებით შეაფერხოს ზოლანეთის მრეწველობა რუსეთის
 ბურჟუაზიის დასაცავათ. მაგრამ ავტორს ასეთი შიში
 სრულიად უსაფუძვლოთ მიაჩნია; ის ამტკიცებს, რომ ზო-
 ლანეთისა და რუსეთის ბურჟუაზიის შორის მხოლოდ
 სუსტი ანტაგონიზმი არსებობს, რადგანაც მათ შორის
 შრომა განაწილებულია: ზოლანეთი უგზავნის რუსეთს
 მატყლეულობას, ხაზინას, მანქანებს და სხვ. რუსეთი-
 დან კი ზოლანეთს მოუდის დაურთავი მატყელი, ბამბა,
 კაკისი და სხვ. ამიტომ მთავრობის ეკონომიური ინტე-
 რესი იმას ითხოვს, რომ ზოლანეთის მრეწველობა კი-
 დევ უფრო გააძლიეროს და არა მოახშოს. ამასვე ითხოვს
 რუსეთის ზოლიტიკა შიგ ზოლანეთში და აღმოსავლეთში.
 ვენის კონგრესიდან მოვიდებოდა რუსეთი ცდილობს,
 რომ ზოლანეთში ნაციონალური ტენდენცია მოხსნას; რა-
 დგანაც ნაციონალური ტენდენციის მატარებელი უმთავრე-
 სათ თავადაზნაურობა არის, მთავრობა უფროს დონეს
 ხმარობდა და აწივ იხმარს, რომ გააძლიეროს აზნაურო-
 ბის წინააღმდეგი ელემენტები-ბურჟუაზია, და ამით მატე-
 რიალურ ნიადაგზე განამტკიცოს ზოლანეთის შემოერთე-
 ბა. კაპიტალიზმის გაძლიერებით ზოლანეთში რუსეთმა
 ფეხი მავრათ გაიდგა და, ამას შემდეგ რომ მთავრო-
 ბამ ზოლანეთის კაპიტალიზმის შეზღუდვა მოიწადინოს,
 ეს ბავშს თუ მოუკა აზრათ, დასძინს ავტორი. თუმცა
 რუსეთმა დიდი ხარჯი გასწია და ახლაც ეწევა აღმოსა-
 ვლეთში გასაძლიერებლათ, მაგრამ ჯერჯერობით ამდენმა
 ხარჯმა შესამჩნევი ნაყოფი ვერ მოიტანა, რადგანაც რუ-
 სეთის ბურჟუაზია მეტოქეობას ვერ უწევს აღმოსავლეთში
 საზღვარ კარეთის ბურჟუაზიას. როგორც სტატისტიკა
 ამტკიცებს, მხოლოდ ზოლანეთის ბურჟუაზია უმკლავდე-
 ბა აღმოსავლეთში დასავლეთ ევროპას და ამიტომ, თუ
 რუსეთს სწადია, აღმოსავლეთში ფეხი მოამკროს, მან
 უნდა გააძლიეროს და არა დაასუსტოს ზოლანეთის ბუ-
 რჟუაზია. ასეთი აზრის არის ავტორი ზოლანეთის
 მრეწველობისა და რუსეთის ზოლიტიკის შესახებ ზოლო-

ნეთში. ის მრავალი ფაქტებით ამტკიცებს, რომ მა-
 რთლაც რუსეთის მთავრობა მეტე წლებიდან მოვიდებოდა
 ზოლანეთის ბურჟუაზიის გაძლიერებას ცდილობს.
 ავტორი იმ აზრის არის, რომ მატერიალური ინტერესები
 ნაციონალურ ინტერესებზე გაცილებით მძლავრია; თუ
 უკანასკნელ დროს ზოლანეთი რუსეთის მთავრობას უმე-
 გობრდებოდა, იმიტომ რომ ზოლანეთი კაპიტალიზმის წა-
 რმობის ქვეყნაა და მთავრობასთან ძმური კავშირის და-
 ჭერას ზოლანეთის ბურჟუაზიის მატერიალური ინტერე-
 სები ითხოვენ. სამწუხაროთ ავტორი არას გვეუბნება
 იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია თვით ზოლანე-
 ლთა ცხოვრებაზე ნატურალური წარმოების კაპიტალი-
 სტურ წარმოებათ შეცვლამ; — მაგრამ ასეთი კითხვის გა-
 მოხრეუვა არც შეიძლება მის პროგრამაში.

გი=ვი.

ჩხანი კვალი გვირგვინი

თხზულება გ. წერეთლისა.
ფასი 30 კაპ.

იყიდება „კვალი“-ს რედაქციაში (არტილოვრის ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მაღაზიაში.

საბოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატი-
ბიანი გამეოთი

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ
ერთიდან სამ თაბახამდე

იმავე პროგრამით როგორც 1899 წელს.

რედაქციისაგან: ახლა წლიდან „კვალს“ მიე-
მატება პროგრამის ყველა განყოფილება, რის-
ვისაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა წრე.

გაზეთი წლიურათ დიანს გაუგზავნულათ 7 მანეთით,
ხოლო გაგზავნით 8 მან. ხანუკარი წლით გაუგზავნულათ
3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მან. სამი თვით გაუგ-
ზავნულათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო
ნომერი სამ მსურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული
შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის
საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворянская ул., д.
зем. банки № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში
არტილოვრის ქუჩა, № 5, კორნუისის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ Редакция „КВАЛИ“

რედაქტორ.-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.